აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№38 (25.166) 4 ოქტომბერი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 21-26, მთიან რაიონებში - 13-18 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის პრეზენტაცია

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე მოადგილე ზურაბ თენიეშვილთან ერთად, ქირურგიის ეროვნული ცენტრის, ბათუმის კლინიკის თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობის 3 ტესლა სიმძლავრის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის პრეზენტაციას დაესწრო

მინისტრმა რეაბილიტირებული, ახალი სამედიცინო რეგულაციების შესაბამისად აღჭურვილი დაწესებულება დაათვალიერა და სამედიცინო პერსონალს სამინისტროს ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ნინო ნიჟარაძის განმარტებით, პროგრამა სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსებას ითვალისწინებს.

„პატარა უფლისწული“ – პრემიერა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

გუშინ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის“ პრემიერა შედგა, რომელიც რეჟისორმა პეტრე ჩარგეიშვილმა დადგა

სპექტაკლში მონაწილეობდნენ ახალბედა მსახიობები და შშმ პირთა ინკლუზიური დასის წევრები: ტამანგო ჯღერია, კახა ქავჟარაძე, ნიკოლოზ გამრეკელაშვილი, ლაშა ვახტანგაძე, ლუკა ალანია, ანზორ ხიმშიაშვილი, ზურაბ კირკიტაძე, სერგო აბესაძე, დავით ალიშანიძე, ალექსანდრე საგინაძე, მარიამ ძნელაძე, გვანცა ფევაძე და მარიამ ქელეხსაევა.

დადგმა ქალაქ ბათუმის მერიამ სრულად დააფინანსა.

- ზოგადად, „პატარა უფლისწული“ ძალიან თბილი ნაწარმოებია. ჩვენ ვერ ვაფასებთ იმ დიდ სიბრძნეს, რომელიც ამ ნაწარმოებშია. შევეცადე, ბავშვების სიტყვებით მეთქვა სათქმელი და გამოვიდა. მაყურებელმა ძალიან კარგად მიიღო. უკვე 28 წელია, რაც ბავშვებთან ვმუშაობ და ცხადია, გვყოლია შშმ პირებიც. მთავარია, გაუგო მათ, გიყვარდეს და არანაირი დისტანცია არ დაიჭირო. შეიძლება მათი შესაძლებლობები შეზღუდული იყოს რაღაცაში, მაგრამ უფრო მეტი შეეძლოთ სხვა მხრივ და ეს ყველაფერი ერთმანეთს ათანაბრებდეს, ამიტომ პირადად ჩემთვის შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს. მით უფრო, თავად მყავს დიაბეტით დაავადებული შვილი. მე-4 წელია ამ დაავადებას ვებრძვით. მინდა აღვნიშნო, რომ ისინი ძალიან ახლოს არიან ჩემთან. მნიშვნელობა არ აქვს შეზღუდულია სიარულში, ჭამაში, ინსულინის ნემსს იკეთებს, თუ ვერ ლაპარაკობს, მას მხარში დგომა სჭირდება. სამწუხაროდ, ბევრი შშმ პირი გვყავს და ვთვლი, რომ ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სპექტაკლებში ითამაშონ. ეს პროექტი მათ სწორედ ამ შესაძლებლობას აძლევს, რაც ძალიან მახარებს. ისინი მეტად თავდაჯერებულები ხდებიან, უხარიათ აპლოდისმენტები, მშობლები კი ორმაგად ამაყები არიან ამ დროს. ამაზე კარგი რა უნდა იყოს? მადლობა მინდა გადავუხადო ლეილა სეფერთელაძეს, მაია დოლიძეს, რომლებიც ამ საქმეს შეეჭიდნენ, მადლობა ბათუმის მერიას, რომ მათთან მუშაობის შანსი მომეცა, - გვითხრა პეტრე ჩარგეიშვილმა.

- მინდა მადლობა გადავუხადო ყველას - რეჟისორს, ორგანიზატორებს, თითოეულ ბავშვს და მშობელს, ვინც ჩვენთან ერთად გაიცდიდა ყოველივეს და ჩართული იყო ამ პროცესში. ამ სპექტაკლმა მაჩვენა ის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, ვიყოთ უფრო ყურადღებიანები და მადლიერები. ეს ბავშვები სამაგალითოები არიან, უნდა ვასწავლოთ და მათგანაც ვისწავლოთ ბევრი რამ. ისინი კეთილი, გულწრფელი ადამიანები არიან, რომლებსაც უპირობოდ ვუყვარვართ, ერთმანეთის დანახვაც კი აბედნიერებთ, რაც საოცარია. თუ მოვინდომებთ, ყველაფერი შეგვიძლია გავაკეთოთ, მთავარია, ბოროტება არ მოგვერიოს. შშმ პირებთან ერთად სცენაზე თამაშის გამოცდილება აქამდე არ მქონია, პირველი იყო და ვფიქრობ, ძალიან კარგი გამოვიდა. რეჟისორმა საინტერესო დეტალები შემოგვთავაზა და საერთო ჯამში, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მსახიობებს ვეტყოდი, რომ თუ შესაძლებლობა ექნებათ მსგავს სპექტაკლში მონაწილეობის მიღებისა, ხელიდან არ გაუშვან. ისინი სხვანაირად დაინახავენ თავის პროფესიას, ცხოვრებას და საერთოდ ყველაფერს. დიდი მადლობა ბათუმის მერიას, რომ ეს არაჩვეულებრივი სპექტაკლი დააფინანსა. ვიმედოვნებ, მსგავსი მომავალშიც დაიდგმება, - გვითხრა მსახიობმა ტამანგო ჯღერიამ.

- სპექტაკლში პატარა უფლისწულის როლი ვითამაშე, ამ როლზე ბევრმა უარი თქვა, რადგან ძალიან ბევრი ტექსტი იყო სასწავლი, მე დავთანხმდი და ძალიან კმაყოფილი ვარ. თავიდან ცოტას ვღელავდი, სცენაზე ტექსტი არ დამვიწყებოდა, მაგრამ, მგონი, კარგად გავართვი თავი. ნახევარ თვეზე მეტი ვრეპეტიციობდით. შშმ პირები, ვინც ჩვენთან ერთად სხვადასხვა როლი ითამაშეს, ძალიან საყვარლები არიან და ყველაფერი კარგად გამოგვივიდა, - გვითხრა 11 წლის მსახიობმა კახა ქავჟარაძემ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

საქართველო – უმნიშვნელოვანესი არჩევნების მოლოდინში

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე სამი კვირა დარჩა. ამ დროისთვის ყველა პოლიტიკური პარტია თუ გაერთიანება ქვეყნის მასშტაბით აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიაშია ჩართული. ყოველდღიური შეხვედრები ამომრჩევლებთან, სამომავლო გეგმების გაცნობა და ერთად დასახვა არჩევნების თანმდევი პროცესებია. ბრძოლა გამარჯვებისთვის, არნახული გაერთიანებები, ერთმანეთის პატიება და დიდი შერიგება ოპოზიციურ ფლანგში, ახალი სახეები პოლიტიკაში - წინასაარჩევნოდ ეს უკვე ნახა საქართველოს მოსახლეობამ და კიდევ რას უნდა ველოდოთ, ამას დრო გვიჩვენებს.

26 ოქტომბრის არჩევნები პრინციპულთან ერთად, ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია არაერთი ფაქტორის გამო და ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მობილიზება საქართველოს მოქალაქეების მხრიდან ძალიან დიდია.

როგორ აფასებენ წინასაარჩევნო კამპანიას და არჩევნებში რა შედეგს ელოდებიან, ამ შეკითხვებით აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსებს მივმართეთ.

ნინო ცხვარაძე, პარტია „ხალხის ძალა“:

- ქვეყნის მოსახლეობა ხედავს, როგორ მასშტაბურ წინასაარჩევნო კამპანიას აწარმოებს „ქართული ოცნება“. მნიშვნელოვანია ის, რომ ყველა რეგიონში თავად ჩადის ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ქართველების უმრავლესობისთვის მშვიდობის და სტაბილურობის გარანტია. რაც შეეხება ადგილობრივ დონეზე შეხვედრებს, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ მოსახლეობასთან, „ქართული ოცნების“ დელეგატებთან ერთად, ხშირად მიწევს შეხვედრები და მათი დაკვეთაა - არ დავუშვათ ,,ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება. სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს საქართველოში არ ყოფილა ომი, სამაგიეროდ არის სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, ადამიანებს არ ეშინიათ, რომ ვიღაც „პაპკიანი“ მიაკითხავს და ბიზნესს გადაიფორმებს, არ ეშინიათ, რომ ჯანმრთელობის პრობლემას ვერ გაუმკლავდებიან, არ ეშინიათ, რომ ხვალ საომარი მდგომარეობა გამოცხადდება ქვეყანაში. ბევრი რამის არ ეშინია ხალხს. განსაკუთებელიც ბევრია და აუცილებლად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად ყველა პრობლემა გადაიჭრება. რაც შეეხება სხვა პარტიების წინასაარჩევნო კამპანიას, ნამდვილად არ მაინტერესებს, რას აკეთებენ, ვის ხვდებიან და როგორ იტყუებიან. მოლოდინი, ისევე როგორც მე, ქართველი ხალხის უმრავლესობას გამარჯვების აქვს. ჩვენი ქვეყანა სწორედ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით გაგრძელებს სვლას ევროპისკენ.

გენო თებიძე, კოალიცია „ძლიერი საქართველო“:

- 2024 წლის წინასაარჩევნო კამპანია წინა არჩევნებისგან არაფრით განსხვავდება. კვლავ არის ხელისუფლების მხრიდან ერთი და იმავე ადამიანების შანტაჟი და მოსყიდვა. ძალიან შესამჩნევია ჩვენი საუბნო კომისიის წარმომადგენლებზე ზეწოლა, რათა ამ ადამიანებს მოტივაცია მოუკლან, თუმცა ამის მიუხედავად, ყველანი ყოჩაღად დგანან, რომ ამ ქვეყანაში მოხდეს ცვლილება და ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ დაადგეს იმ გზას, რაც ჩვენს მოქალაქეებს სურთ. იცით, რომ ბათუმში 104 უბანი იყო, თუმცა შემცირდა და ესეც, რა თქმა უნდა, თავის მხრივ, იწვევს გარკვეულ დისკომფორტს იქიდან გამომდინარე, რომ თუ ადრე მე ვიცოდი, რომ ხმას ვაძლევდი რომელიმე კონკრეტულ უბანში, ის კონკრეტული უბანი შეიძლება იყოს სულ სხვა ნუმერაციით და სულ სხვა მისამართზე. ესეც, რა თქმა უნდა, ყურადსაღებია, რასაც „ქართული ოცნება“ სათავისოდ იყენებს, თუმცა დაძლევადია, რადგან სურვილი იმისა, რომ ერთხელ და სამუდამოდ, ეს ხელისუფლება გავუშვათ, ყველას გვაქვს.

რეზო ხარაზი, „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“:

- 2024 წლის წინასაარჩევნო კამპანიის შეფასება შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ. ერთი - როგორ დაკომპლექტდა საარჩევნო ადმინისტრაცია და მეორე ის, რომ ემიგრანტებს არ გაუხსნეს დამატებითი საარჩევნო უბნები. საარჩევნო უბნები სრულად დაკომპლექტებულია „ქართული ოცნების“ მიერ. რაც შეეხება ჩვენს პარტიას, გვეყოლება მრავალრიცხოვანი დამკვირვებელი სხვადასხვა უბანზე. მინდა აღვნიშნო, რომ აჭარაში მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე და ამავე მუნიციპალიტეტების მიერ ფეისბუქგვერდზე დაფინანსებულ პოსტებზე ხშირად ვხედავთ „ქართული ოცნების“ დელეგატებს, მაგრამ ფაქტია, რომ ადმინისტრაციული რესურსის მხოლოდ 10 პროცენტია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი. არჩევნების შედეგების პროგნოზზე შემიძლია გითხრათ, რომ 5-0 დავამარცხებთ ბიძინა ივანიშვილს. „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ იმარჯვებს და ჩვენ კოალიციური მთავრობის ფორმირებას შევძლებთ. დარწმუნებული ვარ, აჭარის თითქმის ყველა მცხოვრები მიიღებს მონაწილეობას როგორც უმაღლესი საბჭოს, ასევე საქართველოს პარლამენტის დაკომპლექტებაში.

არჩილ სამნიძე, პარტია „გახარია საქართველოსთვის“:

- საკმაოდ დაძაბულ და აბსოლუტურად არათანაბარ რეჟიმში გვიწევს საარჩევნო კამპანიის წარმართვა. აღნიშნული გარემოება გვაძლევს უფრო მეტ მოტივაციას, რომ ათწლეულების მანძილზე დაჭაობებული და თითქოს უკვე აპრობირებული პოლიტიკური გარემო ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ. 26 ოქტომბრის არჩევნებზე სწორედ პარტია „გახარია საქართველოსთვის“ იქნება ის ერთადერთი მაგალითი ამ ქვეყნის თანამედროვე პოლიტიკურ ისტორიაში, რომელიც დიდძალი ფინანსური კაპიტალის და მედიასაშუალებებზე ზეგავლენის არარსებობის, გარე სარეკლამო ბანერებისა და ხელფასებზე მომუშავე შტატიანი კოორდინატორების გარეშე მოახერხებს საკმაოდ სოლიდური ელექტორალური შედეგის დადებას, რომელიც აუცილებლად იქნება წყარო გარდამტეხი პოლიტიკური ცვლილებებისა. ჩვენი წინასაარჩევნო კამპანია მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციით მიმდინარეობს, ასე ვაცნობთ პარტიულ პროგრამას და მომავალში დაგეგმილ გასაკეთებელ საქმეებს. აქვე არ შემიძლია, არ აღვნიშნო ხელისუფლების მხრიდან ჩვენი პარტიის წევრებსა და მხარდამჭერებზე განხორციელებული და მიმდინარე საარჩევნო ზეწოლებისა და დარღვევების ფაქტები. ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან პოლიტიკური ნიშნით დევნასთან დაკავშირებით: აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში პოლიტიკური ნიშნით პარტიის - „გახარია საქართველოსთვის“ წევრობისა და მხარდაჭერის გამო თანამდებობიდან გაათავისუფლეს სენაკისა და ხონის სკოლის დირექტორები და ტყიბულის სკოლის დირექტორის მოადგილე. აღარაფერს ვამბობ უკანონო თვალთვალსა და დაშინების სხვადასხვა ფაქტზე. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას არჩევნების მოსალოდნელ პროგნოზთან დაკავშირებით, გიპასუხებთ, რომ საკმაოდ პოზიტიური მოლოდინი გვაქვს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრებისას მიღებული განცდები. მინდა სრული პასუხისმგებლობითა და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გითხრათ, რომ მოქალაქეების ცნობიერებაში პოლიტიკური ცვლილებების მოლოდინი ძალზე საგრძნობი და თვალშისაცემია როგორც „ოცნების“ ხელისუფლებიდან გაშვების, ისე „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ვერდაბრუნების თვალაზრისით.

ქრონიკა

ქობულეთში ციტრუსის მიმღებ-გადამამუშავებელი ქარხანა „იბერია ორბსი“ ამოქმედდა. გახსნის ცერემონიას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე ესწრებოდნენ. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, საწარმო სეზონზე საექსპორტო მანდარინს დაამზადებს, ასევე, ციტრუსის წვენის კონცენტრატს და პლასტმასის ყუთებს ხილის სარეალიზაციოდ. საწარმოს გააჩნია 3000-ტონიანი სამაცივრე მეურნეობა ცოცხალი ხილის და ბოსტნეულის შესანახად.

* * *

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომში კონკურსში გამარჯვებულმა შპს „ბათმშენი-2007“-მა სამი წლის წინ სასპორტო სკოლის ახალი შენობის აგება დაიწყო. სექტემბრის მიწურულს მისი საზეიმოდ გახსნის ღონისძიება გაიმართა. ღორჯომელებსა და დამსწრე საზოგადოებას სიახლე მიულოცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ, შპს „აჭარის პროექტების მართვის“ დირექტორმა ბაქარ ჩიტაიამ, ქვეყნისა და რეგიონის საკანონმდებლო ორგანოების წევრებმა, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, სპორტის მესვეურებმა. ღორჯომელების განკარგულებაში იქნება 120 ადამიანზე გათვლილი სავარჯიშო და საშეჯიბრო დარბაზი, სატრენაჟორო, ჭადრაკისა და მაგიდის ჩოგბურთის სივრცეები. საზეიმოდ გახსნის დღეს საჩვენებელი სპორტული აქტივობები გაიმართა.

* * *

ფორუმზე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე უჩა სურმანიძემ აჭარის საინვესტიციო და ეკონომიკურ პოტენციალზე ისაუბრა. მან ბიზნესის წარმომადგენლებს ბიზნესის ხელშეწყობის პროექტები და საპრივატიზაციო ობიექტები გააცნო. ღონისძიების ფარგლებში სტარტაპებმა თავიანთი გამოცდილების შესახებ პრეზენტაციები გამართეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) და ბათუმის ტექნოპარკის ინიციატივით და აქსელის (საქართველოს ანგელოზი ინვესტორების ქსელი) ორგანიზებით, ფორუმი ბათუმში წელს მეორედ ტარდება და შეხვედრის მიზანი აჭარაში სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობაა.

* * *

მამია ვარშანიძისა და ხახულის ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები, ალექსანდრე სულაბერიძისა და მამია ვარშანიძის ქუჩების კვეთიდან ფრიდონ ხალვაშის გამზირამდე მონაკვეთში, აქტიურ ფაზაშია. პროექტის ფარგლებში უკვე დასრულდა სანიაღვრე სისტემის, ბორდიურებისა და გარეგანათების მოწყობა ფრ. ხალვაშის გამზირისა და ზედაღელის ქუჩებს შორის მონაკვეთში, ხოლო ასფალტის საფარი დაიგო ფრ. ხალვაშის გამზირიდან ამავე ქუჩის მეორე შესახვევამდე. ხახულის არხზე სრულად მოეწყო ნაპირსამაგრი კედლები და აშენდა 15 ხიდი. ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, აღნიშნული პროექტი, ლოჯისტიკური თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისათვის. სამუშაოების მიმდინარეობას ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძესთან ერთად გაეცნო. პროექტისთვის 31 მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული და 2026 წლის მარტში დასრულდება.

* * *

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ბათუმის შემოვლითი გზისა და ანგისის ქუჩის დაერთების სამუშაოების გამო, მოძრაობა აღნიშნულ მონაკვეთზე რამდენიმე დღით შეიზღუდება. „ბათუმის შემოვლითი საავტომობილო გზის მშენებლობის ფარგლებში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი(ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის მეოთხე კმ-ზე დაგეგმილი ბათუმის შემოვლითი გზის - ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზასთან დაერთების სამუშაოების გამო, 2024 წლის პირველი ოქტომბრიდან ხუთი დღის განმავლობაში, აღნიშნული გზის 1კმ-8კმ (ანგისას ქუჩა- ე.წ. მახოს ხიდი) მონაკვეთზე დროებით შეიზღუდება ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა, გარდა ადგილობრივი მცხოვრებლების მსუბუქი ავტოტრანსპორტისა. დროის აღნიშნულ პერიოდში ავტოტრანსპორტი იმოძრავებს ჭოროხის ქუჩაზე გამავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის გამოყენებით“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

* * *

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის ქვეპროგრამის (აგრარული ექსტენციის მიწოდება) ფარგლებში, სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე წარმატებული ქალებისათვის მეორე აგროტური გაიმართა. სამინისტროს ინფორმაციით, რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტის 20-მდე ფერმერი ქალბატონი სამეგრელოში იმყოფებოდა. აგროტურის ფარგლებში მონაწილეებმა თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზებით აღჭურვილი თხილის და ჩირის საწარმო დაათვალიერეს, იმყოფებოდნენ მოცვის პლანტაციაშიც. აგროტურს ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავა და აგრარული განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლები.

* * *

ყოროლისთავის სათავე ნაგებობის, დამბისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია. უკვე დასრულდა დამბის პირველი სამი საფეხურის მშენებლობა, მიმდინარეობს ბოლო საფეხურის მოწყობა. ინფრასტრუქტურული სამუშაოები ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა დაათვალიერა. სათავე ნაგებობა, რომელიც გასულ წელს სტიქიის შედეგად დაზიანდა, სალიბაურის რეზერვუარს ამარაგებდა და ე.წ. ბენზეს, ბარცხანის, განთიადისა და გოროდოკის დასახლებების წყალმომარაგებას უზრუნველყოფდა. აღნიშნული დასახლებების აბონენტებს წყალი ამჟამად მეჯინისწყლის ჭაბურღილების საშუალებით მიეწოდებათ. მშენებლობის დასრულების შემდეგ, სამუშაოები, რისთვისაც 2 600 000 ლარია გათვალისწინებული, 2025 წლის იანვარში დასრულდება.

* * *

„ძლიერი საქართველოს“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ, ბათუმში, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა სია წარადგინა. სიის პირველი ნომერი გენო თებიძეა, ხუთეულში არიან ვაჟა დარჩია, როლანდ შავაძე, ბესიკ შაინიძე და რაულ პაქსაძე. მამუკა ხაზარაძემ მედიასთან კომენტარიც გააკეთა და აღნიშნა, რომ აჭარა მათი გაერთიანებისთვის პრიორიტეტული კუთხეა. - ბათუმი და აჭარა არის ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი იმიტომ, რომ აქ ჩვენ ვხედავთ ძალიან დიდ პოტენციალს, ასევე, ვხედავთ „ქართული ოცნების“ მიერ გაკეთებულ ძალიან ცუდ საქმეებს. ამიტომ ყველაზე მთავარი, რაც უნდა გავაკეთოთ, არის ის, რომ ახალი, ჯანსაღი, პროფესიონალი ადამიანებით ჩანაცვლდეს ხელისუფლება, იმ ადამიანებით, რომლებსაც აქვთ ძალიან დიდი გამოცდილება თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში და არასდროს ყოფილან ხელისუფლებაში, არ აქვთ ის 20-წლიანი ძველი, ცუდი გამოცდილება. ამიტომ მართლაც ამაყი ვარ, რომ მე დღეს წარვადგენ ამ არაჩვეულებრივ გუნდს, - აღნიშნა ხაზარაძემ.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

აჭარას 5 მილიონი ტურისტი ეწვევა, რეგიონის ბიუჯეტი კი მილიარდს მიაღწევს

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

რა გაკეთდა აჭარაში „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში? რა სამუშაოები ტარდება და რა არის დაგეგმილი? როგორ მიმდინარეობს წინასაარჩევნო პერიოდი? - ამაზე და სხვა საინტერესო საკითხებზე აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ***ტიტე არუშიძე*** *გვესაუბრება.*

- „ქართული ოცნების“ დაპირებისამებრ, საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული წესით ტარდება. რას აძლევს ეს ამომრჩეველს და როგორ მიმდინარეობს წინასაარჩევნო მზადება?

- არჩევნებიდან არჩევნებამდე, პერიოდულად, მთელი ოთხი წლის განმავლობაში ვხვდებოდით მოსახლეობას, ამის მიხედვით იგეგმებოდა ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლი, სადაც ვითვალისწინებდით იმ კონკრეტულ გამოწვევებს, რომლებიც არსებობდა ჩვენს ქალაქსა თუ რეგიონში. ამით მინდა ვთქვა, რომ მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდებით არ შემოვიფარგლებოდით და ყოველთვის ვიყავით საქმის კურსში, თუ რა სჭირდებოდა, რა სურდა ხალხს. რაც შეეხება ახლანდელ არჩევნებს და ამ მიმართულებით მზადებას, ჩამოყალიბდა შტაბი ირაკლი ჭეიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც, ასევე, საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატია და უკვე დავიწყეთ წინასაარჩევნო კამპანია გაწერილი მიზნების და სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად. ცხადია, მიმდინარეობს ინტერაქტიული შეხვედრები მოსახლეობასთან, ვატარებთ სხვადასხვა პარტიულ ღონისძიებას, ისევ და ისევ ვეცნობით მოსახლეობაში დაგროვილ აქტუალურ პრობლემებს და ვაწვდით შტაბს, რომელიც რეაგირებს შეძლებისდაგვარად სწრაფად.

- ძირითადად, რა პრობლემები აწუხებს მოსახლეობას ამ ეტაპზე?

- მოდი, ასე ვიტყვი, ბოლო წლების განმავლობაში ბიუჯეტში გაწერილი პროგრამები მორგებული იყო მოსახლეობაზე, რაც თავისთავად ხელს უწყობდა ამ პრობლემების

მილევად რეჟიმში ჩაყენებას. შედეგად, გაცილებით ნაკლები გამოწვევებია ჩვენ ირგვლივ, იგივე ინფრასტრუქტურასთან, სოციალურ პრობლემებთან, ჯანდაცვასთან დაკავშირებით, თუმცა, რა თქმა უნდა, რჩება საკითხები, რომელიც უნდა გადაჭრას მომავალი მოწვევის პარლამენტმა და უმაღლესმა საბჭომ. ამაზე ვმუშაობთ ახლა, კერძოდ, არაპარტიული კუთხით, ვაყალიბებთ 2025 წლის ბიუჯეტს, რომელიც მოაგვარებს დარჩენილ და ახლად წარმოქნილ პრობლემებს.

- ამჯერად რომელ გამოწვევებს მიიჩნევთ ყველაზე აქტუალურად?

- პრინციპში, ყველა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი ან დასრულებულია ან მიმდინარეობს, ან კიდევ დაგეგმვის სტადიაშია და უახლოეს დროში დაიწყება და დასრულდება. რამდენიმე მათგანზე შემიძლია ყურადღების გამახვილება, მაგალითად, მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირების პროგრამაზე. ამასთან, იცით, რომ ათწლეულების განმავლობაში აქტუალური იყო ხულო-ზარზმის გზის მონაკვეთის მშენებლობა, რომელიც თითქმის აღარ არსებობდა. ახლა თუ მოგიწევთ იქით გავლა, ნახავთ, რომ 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა და დღეიდან ერთი წლის თავზე გვექნება ასფალტით დაფარული საგზაო ინფრასტრუქტურა.

- ძალიან მძიმე საუბრებია ბათუმის შემოვლით გზასთან დაკავშირებით...

- ის უახლოეს დღეებში გაიხსნება და მოაგვარებს სატრანსპორტო ნაკადების შემოდინება-გადინების პრობლემას, რაც პოზიტიურად დაეტყობა ქალაქს. ასევე, ბათუმში ხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის. ბიუჯეტის დიდი ნაწილი იხარჯება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, ასევე, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე. მოკლედ, ბიუჯეტი იხარჯება მიზნობრივად, ჯანმრთელობის და სოციალურ დაცვაზე. ასევე ფინანსდება დასუფთავება, ნარჩენების მართვა, სკვერების მოვლა-შენახვა, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება, სოფლად განვითარების პროგრამა, ინფრასტრუქტურული მცირე პროგრამები, რომლებიც აუცილებელია მუნიციპალიტეტებისთვის და სხვ. ვფიქრობ, აჭარის ბიუჯეტის 90% პასუხობს ადგილობრივ მოთხოვნებს და გამოწვევებს, თუმცა ყოველთვის ვამბობ, რომ ალბათ მხოლოდ ჩვენ ვართ ის ხელისუფლება, რომელიც არ ფარავს და ღიად საუბრობს არსებულ პრობლემებზე და აქვე ვიტყვი, რომ ყოველდღიურად ვუმკლავდებით თითოეულ მათგანს. ცხადია, არის სოციალური გაჭირვება, უმუშევრობა, მაგრამ იზრდება საშემოსავლო გადასახადები, რაც ადასტურებს მეტი სამუშაო ადგილის და მეტი ადამიანის დასაქმების ფაქტებს, იგივე, ტურიზმის სექტორში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პროგნოზების მიხედვით, 2025 წლისთვის აჭარაში ტურისტების ნაკადის უჩვეულო მაჩვენებელი დაფიქსირდება, საუბარია 5 მილიონ ტურისტზე, რაც ძალიან მაღალი ციფრია ჩვენი რეგიონისთვის. ეს ყველაფერი მმართველი ძალის მიერ გატარებული პოლიტიკური ეკონომიკის დამსახურებაა, რომელსაც ახორციელებს ქვეყნის მართვის სათავეში მოსვლის დღიდან. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ზემოთ დასახელებული ციფრის უმეტესი ნაწილი ბათუმზე მოდის, თუმცა იზრდება სოფლად ტურიზმის მაჩვენებელიც (ქობულეთი, მაღალმთიანი აჭარა, ჩირუხის მთა), სადაც სხვადასხვა მსხვილი ობიექტი აშენდა რეგიონში ტურისტების მიზიდულობის ცენტრების თანაბრად გადანაწილებისთვის, როგორც ზღვის, ისე ზამთრის სეზონების დასატვირთად.

- რამდენი იქნება აჭარის ბიუჯეტი 2025 წელს?

- წინასწარი მონაცემებით, აჭარის ბიუჯეტი მილიარდ ლარს მიაღწევს. ის მოხმარდება რეგიონის წინსვლა-განვითარებას. აქვე იმასაც გავიხსენებ, რომ 2012 წელს, როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, აჭარის ბიუჯეტი 120 მილიონი ლარი იყო. დღეს მხოლოდ და მხოლოდ ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით დასახარჯი თანხა 80 მილიონ ლარს აღწევს, ხოლო განათლების ბიუჯეტმა 120 მილიონ ლარს გადააჭარბა. ეს თანხები, ცხადია, ციდან არ ცვივა, სჭირდება პოლიტიკური დაგეგმვა, სწორი ხედვა, მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაცია... თუმცა, ვიმეორებ, რომ ძალიან ბევრია სამუშაო, მოსაგვარებელი პრობლემები. აქვე ხაზს გავუსვამ იმ ფაქტს, რომ 2012 წლიდან შევინარჩუნეთ დინამიკა კოვიდის გავლენით არსებული სტაგნაციის მიუხედავად. მსოფლიო პანდემიის დასრულებისთანავე სწრაფად ავამოქმედეთ სტრატეგიული პროექტები და დღეს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობისა და საგარეო ვალის შემცირების მხრივ მოწინავე ადგილზე ვართ. საერთაშორისო კვლევების თანახმად, გამჭვირვალობის თუ კორუფციის ინდექსით ვუსწრებთ ბევრ ევროპულ ქვეყანას, მათ შორის, უკრაინას და მოლდოვას, რაც ნიშნავს, რომ დავადექით იმ გზას, რომელსაც მსოფლიო აღიარებს - შეგვიძლია ევროპისკენ სწორი მიმართულების აღება და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის მაქსიმალური ზრუნვა.

- მოსახლეობაში გაჩნდა შიში, რომ მთავრობამ გეზი რუსეთისკენ აიღო, ამასთან, ამერიკის შეერთებული შტატები სანქციებს აწესებს...

- პირველი ნაბიჯი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ საერთაშორისო პოლიტიკის განხორციელების კუთხით გადადგა, იყო ის, რომ კონსტიტუციაში ჩაწერა საქართველოს ევროპული კურსი. ამას მოჰყვა ვიზალიბერალიზაციის პროცესი, ევროკავშირთან თავისუფალი და შეღავათიანი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმის ვადის გაზრდა... შედეგად მივიღეთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. ვერც ერთი ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი ვერ იტყვის, რომ კურსი რუსეთისკენ გვაქვს აღებული. კანონები, რომლებსაც ვღებულობთ, ქვეყნის საჭიროების გამოძახილია, საქართველოს სიძლიერის საფუძველია, რათა გავხდეთ დაცული და დამოუკიდებელი სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, არაკეთილმოსურნეები გვყავს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე - გარეთაც. უკვე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენ ჩამოვყალიბდით ისეთ სახელმწიფოდ, რომელსაც ნებისმიერი პარტნიორი უნდა ესაუბროს თანაბარ პირობებში, თანაბარ დონეზე. აქ არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ეს - აშშ, ევროპა თუ მოსაზღვრე ქვეყნები. ჩვენ სწორედ ამ პოლიტიკას ვახორციელებთ, კერძოდ, ქვეყანა, რომელსაც აქვს საკუთარი კონსტიტუცია, საკუთარი ეკონომიკური საფუძველი, ითხოვს იგივე ამერიკისგან თუ ევროპისგან სრულფასოვან პარტნიორობას. თუმცა, მსოფლიოში არსებული ომების და კონფლიქტების გამო, ბევრი მტრული დაჯგუფება გვახვევია თავს, ცდილობენ, როგორც ერთადერთ ნათელ წერტილს მთელ რეგიონში (კონფლიქტები არ არის და განვითარება მიმდინარეობს), შეუცვალონ პოლიტიკა და ჩააბან დამღუპველ ომებში. აი, ეს „საცეცები“ ცდილობენ წყლის ამღვრევას. ვფიქრობ, სწორი პოლიტიკური ხაზის გატარებით მივაღწევთ ყველასთვის სასურველ მიზანს, რაც გულისხმობს ევროპისკენ სვლას პარიტეტულ საფუძველზე.

- ბატონო ტიტე, ოპოზიცია უკვე აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ აუცილებლად გააყალბებს არჩევნებს, რადგან, რეალური კენჭისყრით, მეოთხედ უკვე ვეღარ მოვა ხელისუფლებაში.

- სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო საარჩევნო რეფორმები. ბევრი ცვლილება შევიდა საარჩევნო კოდექსში, რითაც, პირველ რიგში, ამომრჩევლებს გავუმარტივეთ ხმის მიცემის პროცესი. ამასთან, გავანულეთ გაყალბების ნებისმიერი შესაძლებლობა, რომელსაც წარმატებით იყენებდნენ ჩვენი წინამორბედები. ამჟამად ვატარებთ სრულად პროპორციულ არჩევნებს, რომელიც არანაირად არ იქნება მიბმული მაჟორიტარებთან, ანუ „ქართული ოცნება“ თანაბარ პირობებშია სხვა პოლიტიკურ პარტიებთან, ამომრჩეველს ვაძლევთ შესაძლებლობას, საკუთარი პირადი პოლიტიკური მრწამსით, პრიორიტეტებით, ამა თუ იმ ამოცანით და მიზნით აირჩიოს სასურველი პარტია. ახლა უკვე აღარ იქნება საუბარი, რომ ესა თუ ის მაჟორიტარი უზარმაზარ თანხებს ხარჯავს არჩევნების მოსაგებად, გავლენას ახდენს ელექტორატზე და სხვა.

- ოპოზიცია თვლის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მაინც მოძებნა გამოსავალი და მაჟორიტარები „დელეგატებით“ ჩაანაცვლა...

- დელეგატები ხომ მაჟორიტარები არ არიან, ჩვეულებრივ, პარტიული სიის წარმომადგენლები არიან, უბრალოდ, ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში, მოსახლეობას ეცოდინება, კონკრეტულად ვის უნდა მიმართოს საჭიროების შემთხვევაში, რათა ხმა მიაწვდინოს საკანონმდებლო ორგანოს. ეს არის დელეგატების არსი. იგივე შეეძლოთ გაეკეთებინათ სხვა პოლიტიკურ საარჩევნო სუბიექტებსაც, თუმცა, როგორც ყოველთვის, ახლაც მოძებნეს „ქართულ ოცნებაზე“ უსაფუძვლო თავდასხმის მიზეზი. მოგეხსენებათ, დღესდღეობით მათ არ გააჩნიათ არც ფინანსური, არც პოლიტიკური და არც ადამიანური რესურსი და არავინ შერჩათ ავტორიტეტული, ვისაც წარადგენდნენ დელეგატებად ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში. ჩვენ გვაქვს რესურსი, გვყავს პარტიის რიგებში ღირსეული, მცოდნე, ავტორიტეტული ადამიანები, რომლებიც შეძლებენ პარლამენტსა და უმაღლეს საბჭოში იღვაწონ საკუთარი ქვეყნის და ამომრჩევლების საკეთილდღეოდ. მინდა აქვე ვახსენო ელექტრონული არჩევნები, რომელიც გულისხმობს საქართველოს საარჩევნო უბნების 90%-ის შესაბამისი აპარატურით აღჭურვას. ეს სრულად გამორიცხავს ადამიანის ჩარევას გადახაზვა-შემოხაზვაში, ბიულეტენების გაბათილებაში. ხმები დაითვლება ელექტრონული მანქანებით, რომელიც ინტერნეტით არ არის დაკავშირებული რომელიმე ქოლცენტრთან ან გარეშე აპარატურასთან. საარჩევნო კომისიებიც დაკომპლექტებულია პარიტეტის პრინციპით. „ქართულ ოცნებასაც“ და ოპოზიციასაც ერთნაირი რაოდენობით ჰყავთ წარმომადგენლები, იქვე იქნებიან დამოუკიდებელი სუბიექტებიც. ასე რომ, ელექტრონული აპარატებით განხორციელებულ არჩევნებში ჩარევის მცდელობაც კი არაადეკვატურია - თუკი ჩვენ ვაყალბებდით პირადობის მოწმობების განმეორებით გამოყენებით ან მკვდარი სულებით, რატომ აღვჭურავთ საარჩევნო უბნები ელექტრონული მანქანებით? დამოუკიდებელ, ავტონომიური რეჟიმით მომუშავე აპარატურაში ჩატვირთულია კონკრეტული უბნის სიები, რომელიც ყველა ოპოზიციური პარტიის და ცესკოს მიერაა გადამოწმებული. შესაბამისად, ვერც განმეორებით და ვერც რამდენიმე პირადობის მოწმობის გამოყენებით პიროვნების იდენტიფიცირება ვერ მოხდება. აპარატი მაშინვე აწითლებს მონაცემებს, უგულებელყოფს და აუქმებს ბიულეტენს.

- რა უნდა იცოდნენ ამომრჩევლებმა ელექტრონულ აპარატთან მისვლისას?

- ერთადერთი, რაც უნდა იცოდნენ, არის ის, რომ შემოხაზვის ნაცვლად უნდა გააფერადონ. გაფერადებული ბიულეტენი შედის ელექტრონულ აპარატში, რომელიც ავტომატურად ითვლის ხმებს. თუკი ადრე პროცესს 8-9 საათი სჭირდებოდა და ვიღაცები ამას მანიპულაციისთვის, დროის გაყვანისთვის იყენებდნენ, ახლა მსგავსს ვერ მოახერხებენ, რადგან ნახევარ საათში გვეცოდინება რეალური შედეგები. ზედმეტი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, საუბნო კომისია ხმებს ხელითაც გადაითვლის, რასაც მნიშვნელოვანი არსი და აზრი აქვს. იქ არიან როგორც ჩვენი, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები და ყველა ნახავს, რომელი ბიულეტენი რატომ არის გაუქმებული. ასე რომ, ხმების გაყალბება, რომელზეც ოპოზიციის რიგი წარმომადგენლები აპელირებენ და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ცდილობენ, არარეალური და გამორიცხულია. ბოლოს და ბოლოს, მივაღწიეთ ისეთ საარჩევნო გარემოს, რომლისკენაც ამ ხნის განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდით და არავის მივცემთ ჩვენს გამარჯვებაში ეჭვის შეტანის უფლებას, ყველა მხრიდან დავადასტურებთ, რომ მოსახლეობის არჩევანი გამჭვირვალე და ნებაყოფლობითია.

> ***„პირველი ნაბიჯი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ საერთაშორისო პოლიტიკის განხორციელების კუთხით გადადგა, იყო ის, რომ კონსტიტუციაში ჩაწერა საქართველოს ევროპული კურსი. ამას მოჰყვა ვიზალიბერალიზაციის პროცესი, ევროკავშირთან თავისუფალი და შეღავათიანი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმის ვადის გაზრდა... შედეგად მივიღეთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. ვერც ერთი ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი ვერ იტყვის, რომ კურსი რუსეთისკენ გვაქვს აღებული***

„ზოგს მიაჩნია, რომ დამსაქმებელი არის ბატონი, ხოლო დასაქმებული – მისი ყმა“

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანება 8 დარგობრივ ორგანიზაციას აერთიანებს, კერძოდ, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ხელოვნებისა და მასმედიის, მშენებელთა, ტრანსპორტის, თვითდასაქმებულთა და კომუნალური მეურნეობის, სოფლის მეურნეობისა და საჯარო მოხელეთა პროფკავშირებს. მთლიანობაში, პროფკავშირის წევრთა რაოდენობა ამჟამად 6000-მდეა და გამუდმებით იცვლება. გვესაუბრება პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე, სამართლის მაგისტრი ***ზურაბ ცეცხლაძე.***

- ბატონო ზურაბ, ხალხი ფიქრობს, რომ პროფკავშირები აღარ არის აქტუალური და ბევრი არ ერთიანდება. რამდენად მართებულია ეს შეხედულება?

- პროფკავშირი ცოცხალი ორგანიზმია, საიდანაც ვიღაც გადის ან ახალი წევრი ემატება. ფაქტია, რომ პროფკავშირის წევრთა მნიშვნელოვან ზრდას ვერ მივაღწიეთ, რაც გამოწვეულია სხვადასხვა გარემოებით. კერძოდ, არ გვაქვს ევროპული სტანდარტების საკანონმდებლო ბაზა. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის სექტემბერში ამოქმედდა საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებები, იგი მაინც ვერ პასუხობს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს. არის ფუნდამენტური საკითხები, რომელთა გათვალისწინებასაც ითხოვდა პროფკავშირები, კანონპროექტშიც იყო ასახული, მაგრამ პარლამენტში საკომიტეტო მოსმენების დროს ამოიღეს ტექსტიდან. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ის ფაქტი, რომ საქართველოში დღესაც მინიმალური ხელფასი შეადგენს თვეში 20 ლარს, შევარდნაძის 1999 წლის ბრძანებულების შესაბამისად. ამჟამად პროფკავშირების წინაშე მდგარი სირთულეების მთავარი მიზეზი არის საკანონმდებლო ბაზის არასრულფასოვნება და არასრულყოფილება. თუ დავაკვირდებით „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, ვნახავთ, რომ ყველა ის უფლება, რაც პროფკავშირებს კანონით გააჩნია, თითქმის არაფრისმთქმელია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რიგი უფლებების განხორციელება, პრაქტიკულად, შეუძლებელია, ხოლო რიგი ფუნქციების განხორციელება საჭიროებს სხვა ორგანოების მონაწილეობას. ეს ნიშნავს, რომ ფაქტობრივად, პროფკავშირს რაიმე ქმედითი დამოუკიდებელი უფლება არ გააჩნია, რომელიც შეუქმნის ბერკეტს, სათანადოდ დაიცვას, ზოგადად, დასაქმებულთა ინტერესები და არა მხოლოდ დასაქმებული პროფკავშირის წევრთა უფლებები. მხოლოდ პროცესებში მონაწილეობა და საზოგადოებრივი კონტროლი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეფექტურად დავიცვათ შრომითი უფლებები. მეორე მთავარ სირთულეს წარმოადგენს პროფესიული კავშირების ისტორიული წარსული, საიდანაც ჯერაც არ გათავისუფლებულა. საზოგადოება დღესაც სრულად და სათანადოდ ვერ აღიქვამს მის ფუნქციას და ანგარიშვალდებულებას. რატომღაც მიაჩნიათ, რომ პროფკავშირები არის ხელისუფლების დანამატი, მას დამოუკიდებლად არაფრის გადაწყვეტა არ შეუძლია დასაქმებულების სასარგებლოდ, სასამართლო პროცესებში და სადავო საქმეებში წარმომადგენლობის გარდა. დასაქმებულების უდიდესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ მის შრომის უფლებებს დამსაქმებელი უკეთესად დაიცავს, თუ მასთან დამთმობ პოზიციაში და მეგობრულ ურთიერთობაში იქნება. სხვა შემთხვევაში დამსაქმებელს თუ მოესურვება, ნებისმიერ მიზეზს მოუძებნის სამუშაოდან გასათავისუფლებლად და მას ვერც კანონი და ვერც შრომის უფლებების დამცავი ორგანიზაციები ვერ დაეხმარება. დასაქმებულებს, ჯერაც ვერ გაუთავისებიათ, რომ დამსაქმებელს ზუსტად იმ ხარისხითა და დოზით ესაჭიროება იგი, როგორც პირიქით. დასაქმებულთა ნაწილს მიაჩნია, რომ დამსაქმებელი არის ბატონი, ხოლო დასაქმებული - მისი ყმა და არ უნდა მოჭრას ის ტოტი, რომელზედაც ზის. იმასაც ფიქრობს, დამსაქმებელი კვებავს და თუ მასთან მონურ დამოკიდებულებაში არ იქნება, დაკარგავს სამსახურს. დასაქმებულთა უმეტესობა არ აანალიზებს, რომ დამსაქმებლის ბიზნესი და შემოსავლები მისივე შრომით არის მიღებული და დამსაქმებლისთვის შექმნილი დოვლათის ღირებულების ერთ პროცენტსაც კი ვერ იღებს, ანუ იმის თქმა მინდა, რომ არსებობს მენტალური პრობლემები დასაქმებულ მოსახლეობაში.

- რა სახის დახმარების გაწევა შეუძლია თქვენს გაერთიანებას?

- გაერთიანებას შეუძლია საზოგადოებრივი მონიტორინგი აწარმოოს, შრომითი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, იმ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, სადაც ფუნქციონირებს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციები, სადაც გვყავს პროფკავშირის წევრები. ვუწევთ სამართლებრივ დახმარებებს, იურიდიული კონსულტაციით დაწყებული, სარჩელის შეტანით გაგრძელებული და სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციაში მათი უფლებების დაცვით დასრულებული, ანუ სრულ იურიდიულ დახმარებას ვუწევთ ჩვენს წევრებს აბსოლუტურად უსასყიდლოდ. ვეხმარებით საწარმო-დაწესებულებებში არსებულ პროფკავშირულ ორგანიზაციებს კოლექტიური ხელშეკრულებების მომზადებასა და გაფორმებაში. საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზებას ვუკეთებთ მასობრივ გაფიცვებს, რა დროსაც საჭიროა კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვა, რათა შემდგომში დამსაქმებლის მხრიდან გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლომ არ ცნოს გაფიცვა უკანონოდ. მასობრივი განთავისუფლებების შემთხვევაში წარვადგენთ ჩვენს წინადადებებს ვადებთან და კომპენსაციებთან დაკავშირებით.

- რომელი ორგანიზაციის მუშაკებს დაასახელებდით, რომლებსაც დაეხმარეთ ამ ბოლო დროს?

- ბოლო პერიოდში განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებენ ტრანსპორტის პროფკავშირების წევრები, რომლებიც დასაქმებული არიან სახელმწიფო მუნიციპალურ შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტში“. ავტობუსების მძღოლებს ხშირად აჯარიმებენ სხვადასხვა ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, რა დროსაც ნაცვლად იმისა, რომ ორგანიზაციას ჰყავდეს იურისტთა ჯგუფი და დაიცვას თავისი თანამშრომლების უფლებები ადმინისტრაციულ (საპატრულო პოლიციაში, მუნიციპალურ ინსპექციაში) და სასამართლო ორგანოებში, პირიქით, ხშირ შემთხვევაში, ავტოსატრანსპორტო შემთხვევის გამო, სამუშაოდან ათავისუფლებენ დასაქმებულებს. ასეთ დროს, დასაქმებულების მომართვის საფუძველზე, საქმეში ვერთვებით აჭარის პროფკავშირების გაერთიანების იურისტები და მათ უფლებებს კვალიფიციურად ვიცავთ ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმეები არ წარმოადგენს შრომით დავებს, ჩვენ ვაწარმოებთ ადმინისტრაციულ საქმეებს საპატრულო პოლიციის მიმართ ყველა ორგანოში, ვამზადებთ ადმინისტრაციულ საჩივრებს და საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ვასაჩივრებთ სასამართლოში. მიმდინარე წლის განმავლობაში დაახლოებით ოთხი ასეთი საქმე ვაწარმოეთ, რომელთაგან ორი დასრულდა გამარჯვებით, ხოლო ორი საქმე განხილვის პროცესშია, ერთი - სასამართლოში, ერთიც - საპატრულო პოლიციაში.

- როგორ დგას შრომის უფლებების დაცვის საკითხი, რა დარღვევებს გამოყოფდით ამ მიმართულებით?

- განსაკუთრებით მომრავლდა ისეთი საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია დასაქმებულთა გამოსაცდელი ვადით სამუშაოზე აყვანასთან და შემდგომში სამუშაოდან მათ გათავისუფლებასთან ყოველგვარი გაფრთხილებისა და კომპენსაციების გაცემის გარეშე. მოგეხსენებათ, გამოსაცდელი ვადა არის დამსაქმებლისა და დასაქმებულისათვის მისაღები და სასურველი მექანიზმი, რადგან იგი საშუალებას აძლევს პირველს, შეაფასოს კანდიდატის შესაფერისობა თანამდებობისათვის, მეორისათვის კი შესაძლებლობა - შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებიდან და კონკრეტული სამუშაოდან გამომდინარე, უპირატესობათა და ნაკლოვანებათა დასანახად. ამდენად, გამოსაცდელი პერიოდი მეტად ეფექტური მექანიზმია ორივე მხრიდან არადამაკმაყოფილებელი შრომითი ურთიერთობის თავიდან ასაცილებლად. გამოსაცდელი ვადით დასაქმებულის აყვანის მთავარი მიზანია, დამსაქმებელს მიეცეს შანსი, შეაფასოს დასაქმებულის აუცილებელი უნარ-ჩვევები სამუშაოს შესასრულებლად. ეს, ძირითადად, ნიშნავს იმას, რომ მხარეები დასაწყისშივე თანხმდებიან ერთგვარ, დროში შეზღუდულ ექსპერიმენტზე, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, ერთი მხრივ, აღიარონ ან უარყონ დასაქმებულის უნარების სათანადოობა დაკავებულ პოზიციასთან და მეორე მხრივ - სამუშაოს შინაარსისა და გარემოს შესაბამისობა დასაქმებულისათვის. მთლიანობაში, შეთანხმება გამოსაცდელ ვადაზე მიზნად ისახავს ორივე მხარის ინტერესების დაცვას იმგვარად, რომ საშუალებას აძლევს მათ, შეაფასონ შრომითი ხელშეკრულების სიკეთეები. საქართველოს სინამდვილეში, დამსაქმებლის მხრიდან გამოსაცდელი ვადით ხელშეკრულების გაფორმებას თავიდანვე არ აქვს დასაქმებულის უნარ-ჩვევების გამოვლენის და სამუშაოსთან შესაბამისობის დადგენის ხასიათი. დამსაქმებელი შრომითი ხელშეკრულების ამ ფორმას და კანონის ამ ნორმას იყენებს იმისათვის, რომ დასაქმებულთან შემდგომში არ გააფორმოს გრძელვადიანი ან/და უვადო ხელშეკრულება, რათა მათი სამუშაოდან განთავისუფლება იოლად და კომპენსაციის გადახდის გარეშე შეძლოს. დამსაქმებლის მიზანი თავიდანვე მუშახელის იმგვარად გამოყენების სურვილია, რომ მათზე არ გავრცელდეს კომპენსაციისა და წინასწარ გაფრთხილების საჭიროება, რათა ერთი ხელის მოსმით გაყაროს სამსახურიდან თანამშრომლები, თან ისე, რომ მისი ეს ქმედება იყოს „კანონიერი“. დამსაქმებლის ეს მოქმედება არის უკანონო მოქმედება კანონიერი საფარით.

- შრომის კანონმდებლობაში რა სიახლეებია, რომელიც უნდა იცოდეს მოსახლეობამ?.. შშმ პირთათვის?..

- ზოგადად, დასაქმებულმა კარგად უნდა იცოდეს შრომის ხელშეკრულების გაფორმების დროს ამ ხელშეკრულების დადებამდე დამსაქმებლის ვალდებულებები წინასახელშეკრულებო ურთიერთობების დროს ინფორმაციის გაცვლის თაობაზე, ასევე, შრომის ანაზღაურების, ხელფასისა და დანამატი გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლიობა და შვებულების მიცემის წესი, დამსაქმებლის და დასაქმებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი. მოსახლეობის ფართო ფენებმა აუცილებლად უნდა იცოდეს შრომის დისკრიმინაციის აკრძალვის, გამოსაცდელი ვადისა და სტაჟირების, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების გაცემის წესის, შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლების შესახებ. უნდა იცოდეს კანონით მინიჭებული ისეთი უფლებები, როგორებიცაა: უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოთი უზრუნველყოფა, გაფიცვის უფლება, გაერთიანების თავისუფლება. კერძოდ, დასაქმებულს უფლება აქვს, წინასწარი ნებართვის გარეშე შექმნას გაერთიანება ან/და გახდეს სხვა გაერთიანების წევრი, საკუთარი შრომის უფლებების დაცვისათვის სასამართლოსთვის მიმართვის უფლება და სხვა. რაც შეეხება შშმ პირებს, მათი შრომის უფლებების განსაკუთრებულად დაცვის მიზნით, საქართველოს შრომის კოდექსში აისახა შეზღუდული შესაძლებლობების მოტივით დისკრიმინაციის აკრძალვა, რომ შშმ პირების მიმართ არ უნდა არსებობდეს განსხვავებული, უარყოფითი მიდგომა შრომის ხელშეკრულების გაფორმების დროს და/რომ უნდა არსებობდეს განსაკუთრებული მიდგომა, რასაც ეძახიან გონივრული მისადაგების პრინციპს, რომლის თანახმად, საწარმო-დაწესებულებები ვალდებული არიან, ღონისძიებათა გარკვეული სისტემა შეიმუშაონ შშმ პირების დასაქმებისათვის. დამსაქმებელი ვალდებულია შშმ პირთა უფლებების დაცვის მიზნით განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, რომ მათ ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობა დასაქმების, კარიერული წინსვლის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ხელმისაწვდომობისათვის.

- როგორ დასრულდა კაზინოს „ევოლუშენ ჯორჯია“ თანამშრომლების გაფიცვა?

- კაზინოს თანამშრომლების გაფიცვა სამართლიანია და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტ ყურადღებას, ვინაიდან იკვეთება ხსენებული კომპანიის აღვირახსნილი ქმედებები საკუთარი თანამშრომლების მიმართ. ამაზე, სამწუხაროდ, არანაირ რეაგირებას არ ახდენს საქართველოს შრომის ინსპექცია. ფაქტობრივად, დამსაქმებელ კომპანიას სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული თავის ქმედებებში და შრომის კოდექსის ამკრძალავი ნორმები მათზე არ ვრცელდება. შესაბამისად, გაფიცვის პროცესი უსასრულოდ გაიწელა. ჩვენი მონაწილეობა შემოიფარგლება სოლიდარობით და თანადგომის გამოცხადებით, ვინაიდან ამ პროცესს ხელმძღვანელობს საქართველოს აგრარულ მეურნეობაში, ვაჭრობასა და მრეწველობაში დასაქმებულთა პროფესიული კავშირი, რომელიც ქებას იმსახურებს პროფკავშირის გაფიცულ წევრთა დაცვის საქმეში უკომპრომისო ბრძოლისათვის.

- რამდენად ხშირად მოგმართავენ შრომითი ექსპლუატაციის (ტრეფიკინგის) გამო?

- ტრეფიკინგი არის მოვლენა, რომელიც რამდენიმე წინაპირობას მოიცავს, რომ ტრეფიკინგის ფაქტად დაფიქსირდეს. ერთი წინაპირობა არის ადამიანის მუშაობა არასასურველ ადგილას იმდენ ხანს, რამდენიც მას არ სურს, მეორე - მას საერთოდ არ უხდიდნენ თანხას, ან უხდიდნენ იმაზე ბევრად ნაკლებს, ვიდრე საქართველოს შრომის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით, შრომითი ექსპლუატაცია არის პროცესი, როდესაც ადამიანებს ამუშავებენ ეროვნულ თუ საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევით. პირველ რიგში, აქ იგულისხმება სამუშაო დრო და ანაზღაურება, კერძოდ: დასვენების დრო სამუშაო პერიოდში, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება და შრომის უსაფრთხო გარემო. ეს არის ის საკითხები, რომელთა დაუცველობა წარმოშობს შრომითი ექსპლუატაციის (ტრეფიკინგის) პირობებს და/თუ ეს პირობები მოიცავს შრომის უფლებების უხეშად დარღვევას, მაშინ იძულებითი შრომის მდგომარეობას უახლოვდება, რაც თავისთავად არის შრომითი ექსპლუატაცია. ხშირად მოგვმართავენ შრომითი ტრეფიკინგის გამო, განსაკუთრებით ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების არგადახდაზე, ხოლო შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ძირითადად, მოუწესრიგებელია კომპანიებში. ყურადღების მიქცევას იწყებენ იმ შემთხვევაში, თუკი უბედური შემთხვევა

იხ. მე-5 გვ.

> *„ბოლო პერიოდში განსაკუთრებულ დახმარებას საჭიროებენ ტრანსპორტის პროფკავშირების წევრები, რომლებიც დასაქმებული არიან სახელმწიფო მუნიციპალურ შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტში“. ავტობუსების მძღოლებს ხშირად აჯარიმებენ სხვადასხვა ავტოსაგზაო შემთხვევის გამო, რა დროსაც ნაცვლად იმისა, რომ ორგანიზაციას ჰყავდეს იურისტთა ჯგუფი და დაიცვას თავისი თანამშრომლების უფლებები“*

„კოალიციური მთავრობის მთავარი პლუსი ერთმანეთის კონტროლია“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საარჩევნო მარათონი პიკს აღწევს - სამოდე კვირაში ქართველი ხალხი თავის ისტორიულ არჩევანს გააკეთებს. ამჟერად ვის მიანდობს ამომრჩეველი თავისი ქვეყნის ბედიღბალს, ცხადია, ერთგვაროვანი პასუხის გაცემა ძნელია, ყველაფერი მხოლოდ არჩევნების დასრულების შემდეგ გაცხადდება, თუმცა არსებობს ვარაუდებიც, რომლებსაც სხვადასხვა პარტია ახმოვანებს. სწორედ ამის თაობაზე გვესაუბრება „კოალიცია ცვლილებისათვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი და ამავე კოალიციის აჭარის უმაღლესი საბჭოს კანდიდატთა სიის მეორე ნომერი ***ლევან გორგილაძე.***

- რამდენად დემოკრატიულად მიმდინარეობს წინასაარჩევნო პროცესი?

- დემოკრატიაზე საუბარი ცოტა რთულია, როცა ავტოკრატიული რეჟიმის ხელშია მართვის სადავეები. წინა წლების გამოცდილება და ამჟამად მიმდინარე პროცესებიც ცხადყოფს, რომ მოქალაქეებს ცვლილებები სურთ, თუმცა სურვილს ღიად ვერ აფიქსირებენ, გამომდინარე იქიდან, რომ სისტემა ასეთ ადამიანებზე ნადირობს და ემუქრება სამსახურის დაკარგვით, ოჯახის წევრებზე ძალადობით და ა. შ. ამას ემატება აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება, რომ საქართველოს პარლამენტის და უმაღლესი საბჭოს კანდიდატი პარტიები ამომრჩეველმა ერთ ბიულეტენში უნდა აირჩიოს. ეს, თავისთავად, ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანას ემსახურება, თუმცა დრო გვაქვს მოქალაქეებთან ამაზე სასაუბროდ, ასახსნელად და ანალოგიური ქმედებისკენ მოვუწოდებდი სხვა პროდასავლურ ოპოზიციურ პარტიებსაც. ამ ყველაფრის მიუხედავად, მჯერა გარდაუვალი გამარჯვების, რადგან დღეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, უბრალოდ, რთულად მოსაძებნია ქვეყნის მასშტაბით.

- რა გამოიკვეთა თქვენს წინასაარჩევნო შეხვედრებზე? მოსახლეობა რა პრობლემების მოგვარებას ითხოვს?

- ზოგადი პრობლემა ძალიან ბევრია, გააჩნია, რა ლოკაციაზე მართავ შეხვედრებს, თუმცა ერთი, რაც ყველგან იკვეთება და რასაც ყველა ხვდება, არის ის, რომ ჩვენს ქვეყანას რუსული გეზით მომავალი არ უწერია, ასევე, იმასაც, რომ ევროინტეგრაცია ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისთვის, მომავალი თაობისთვის. რუსული კანონის მიღების შემდეგ უამრავი დახმარება, რაც დასავლეთიდან მოდიოდა, შეწყდა ან შეწყვეტის პროცესშია და ამას მოსახლეობა იმდენად სწორად აღიქვამს, რომ გამორიცხულია, პრორუსულმა „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლება შეინარჩუნოს.

- თქვენი პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ მოსახლეობა ცვლილებების მოლოდინშია, თუმცა მმართველ პარტიაში ამბობენ, რომ ოპოზიცია დესტრუქციული ქმედებებითაა დაკავებული და არჩევნებში ფიასკო ელის.

- ფიასკო ვის ელის, 26 ოქტომბერს გამოჩნდება და დაგვირგვინდება მმართველი პარტიის მარცხით. ამის თქმის საფუძველს ყოველდღიური შეხვედრები მაძლევს. ზემოთ ვახსენე და გავიმეორებ: ვისაც ეჭვი ეპარება, გამომყვეს მოსახლეობასთან შეხვედრაზე და ნახავს, რომ ათი მოქალაქიდან (კარგ შემთხვევაში) ორია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი და ის ორიც ცდილობს, ამაზე ღიად საუბარი არ მოუწიოს.

- გამოიკვეთა რამდენიმე ოპოზიციური ცენტრი. სანამ მათ შანსებზე ვისაუბრებდეთ, გვიპასუხეთ, რატომ არ გაერთიანდა ოპოზიცია ერთ მძლავრ პლატფორმად?

- პროდასავლური ოპოზიციის მიერ არაერთგზის გაიტესტა ერთიანი ოპოზიციის იდეა და ყველა კვლევამ აჩვენა, რომ ცალკე რამდენიმე ცენტრი უფრო დიდ შედეგს დებს, ვიდრე ერთიანი სია. ვინც ამაზე კიდევ აპელირებს, შეგნებული მავნებელი მგონია. ფაქტია, ორივე შემთხვევაში „ოცნების“ გამარჯვების შანსი ნულთანაა გათანაბრებული, თუმცა ცალ-ცალკე ცენტრები უფრო დამაჯერებელ გამარჯვებას მოიტანს.

- თქვენს პლატფორმას რამდენად ზუსტად აქვს შემუშავებული სახელმწიფოს განვითარების კონცეფცია?

- ჩვენ ერთ-ერთი გახლდით, ვინც პრეზიდენტის მიერ შემუშავებულ „ქართულ ქარტიას“ ხელი მოაწერა. ვფიქრობთ, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია (პირველ რიგში) სასამართლო და საარჩევნო რეფორმების განხორციელება, თავისთავად, სხვა მნიშვნელოვან რეფორმებთან ერთად, რათა ამომრჩევლის ერთი ხმა ფასობდეს, სასამართლოში გადაწყვეტილების მიმღები პირები ხელისუფლებაზე არ იყვნენ დამოკიდებულნი. ასევე, ადამიანების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში არის უმნიშვნელოვანესი, ამიტომ დეცენტრალიზაციაც ერთ-ერთი უმთავრესია, რისი ინიციატორებიც ჩვენ ვიქნებით.

- თქვენი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ საარჩევნო სიაში ადგილს პერსპექტიულ ახალგაზრდას უთმობს.

- რა თქმა უნდა, დასაფასებელი და, ერთგვარად, მისაბაძიცაა. სამწუხაროდ, ეს ნაბიჯი დიდი ხანია ვერა და ვერ გადადგა ბევრმა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახალი, კომპეტენტური სახეების ხილვა ქართულ პოლიტიკაში და ვინც ამას ხელს უწყობს, მხოლოდ და მხოლოდ დადებითად უნდა შეფასდეს.

- ოპოზიციისა და მმართველი გუნდის დაპირისპირების საკითხი არახალია, თუმცა აქტიური დისკუსია გამოიწვია ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებამ არჩევნების შემდეგ პარტია „ნაცმოძრაობის“ აკრძალვის შესახებ...

- წარმოიდგინეთ, ისინი „ნაცმოძრაობას“ მეძახიან მეც, ადამიანს, რომელსაც იდეოლოგიური დაპირისპირება მქონდა ზემოთ ხსენებულ პარტიასთან და დღემდე მაქვს. ამით ამაზე სასაუბროდ, ასახსნელად და ანალოგიური ქმედებისკენ მოვუწოდებდი სხვა პროდასავლურ ოპოზიციურ პარტიებსაც. ამ ყველაფრის მიუხედავად, მჯერა გარდაუვალი გამარჯვების, რადგან დღეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, უბრალოდ, რთულად მოსაძებნია ქვეყნის მასშტაბით.

> *„პროდასავლური ოპოზიციის მიერ არაერთგზის გაიტესტა ერთიანი ოპოზიციის იდეა და ყველა კვლევამ აჩვენა, რომ ცალკე რამდენიმე ცენტრი უფრო დიდ შედეგს დებს, ვიდრე ერთიანი სია. ვინც ამაზე კიდევ აპელირებს, შეგნებული მავნებელი მგონია. ფაქტია, ორივე შემთხვევაში „ოცნების“ გამარჯვების შანსი ნულთანაა გათანაბრებული, თუმცა ცალ-ცალკე ცენტრები უფრო დამაჯერებელ გამარჯვებას მოიტანს*

- რა გამოიკვეთა თქვენს წინასაარჩევნო შეხვედრებზე? მოსახლეობა რა პრობლემების მოგვარებას ითხოვს?

- ზოგადი პრობლემა ძალიან ბევრია, გააჩნია, რა ლოკაციაზე მართავ შეხვედრებს, თუმცა ერთი, რაც ყველგან იკვეთება და რასაც ყველა ხვდება, არის ის, რომ ჩვენს ქვეყანას რუსული გეზით მომავალი არ უწერია, ასევე, იმასაც, რომ ევროინტეგრაცია ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისთვის, მომავალი თაობისთვის. რუსული კანონის მიღების შემდეგ უამრავი დახმარება, რაც დასავლეთიდან მოდიოდა, შეწყდა ან შეწყვეტის პროცესშია და ამას მოსახლეობა იმდენად სწორად აღიქვამს, რომ გამორიცხულია, პრორუსულმა „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლება შეინარჩუნოს.

- თქვენი პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ მოსახლეობა ცვლილებების მოლოდინშია, თუმცა მმართველ პარტიაში ამბობენ, რომ ოპოზიცია დესტრუქციული ქმედებებითაა დაკავებული და არჩევნებში ფიასკო ელის.

- ფიასკო ვის ელის, 26 ოქტომბერს გამოჩნდება და დაგვირგვინდება მმართველი პარტიის მარცხით. ამის თქმის საფუძველს ყოველდღიური შეხვედრები მაძლევს. ზემოთ ვახსენე და გავიმეორებ: ვისაც ეჭვი ეპარება, გამომყვეს მოსახლეობასთან შეხვედრაზე და ნახავს, რომ ათი მოქალაქიდან (კარგ შემთხვევაში) ორია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი და ის ორიც ცდილობს, ამაზე ღიად საუბარი არ მოუწიოს.

- გამოიკვეთა რამდენიმე ოპოზიციური ცენტრი. სანამ მათ შანსებზე ვისაუბრებდეთ, გვიპასუხეთ, რატომ არ გაერთიანდა ოპოზიცია ერთ მძლავრ პლატფორმად?

- პროდასავლური ოპოზიციის მიერ არაერთგზის გაიტესტა ერთიანი ოპოზიციის იდეა და ყველა კვლევამ აჩვენა, რომ ცალკე რამდენიმე ცენტრი უფრო დიდ შედეგს დებს, ვიდრე ერთიანი სია. ვინც ამაზე კიდევ აპელირებს, შეგნებული მავნებელი მგონია. ფაქტია, ორივე შემთხვევაში „ოცნების“ გამარჯვების შანსი ნულთანაა გათანაბრებული, თუმცა ცალ-ცალკე ცენტრები უფრო დამაჯერებელ გამარჯვებას მოიტანს.

- თქვენს პლატფორმას რამდენად ზუსტად აქვს შემუშავებული სახელმწიფოს განვითარების კონცეფცია?

- ჩვენ ერთ-ერთი გახლდით, ვინც პრეზიდენტის მიერ შემუშავებულ „ქართულ ქარტიას“ ხელი მოაწერა. ვფიქრობთ, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია (პირველ რიგში) სასამართლო და საარჩევნო რეფორმების განხორციელება, თავისთავად, სხვა მნიშვნელოვან რეფორმებთან ერთად, რათა ამომრჩევლის ერთი ხმა ფასობდეს, სასამართლოში გადაწყვეტილების მიმღები პირები ხელისუფლებაზე არ იყვნენ დამოკიდებულნი. ასევე, ადამიანების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში არის უმნიშვნელოვანესი, ამიტომ დეცენტრალიზაციაც ერთ-ერთი უმთავრესია, რისი ინიციატორებიც ჩვენ ვიქნებით.

- თქვენი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ საარჩევნო სიაში ადგილს პერსპექტიულ ახალგაზრდას უთმობს.

- რა თქმა უნდა, დასაფასებელი და, ერთგვარად, მისაბაძიცაა. სამწუხაროდ, ეს ნაბიჯი დიდი ხანია ვერა და ვერ გადადგა ბევრმა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახალი, კომპეტენტური სახეების ხილვა ქართულ პოლიტიკაში და ვინც ამას ხელს უწყობს, მხოლოდ და მხოლოდ დადებითად უნდა შეფასდეს.

- ოპოზიციისა და მმართველი გუნდის დაპირისპირების საკითხი არახალია, თუმცა აქტიური დისკუსია გამოიწვია ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებამ არჩევნების შემდეგ პარტია „ნაცმოძრაობის“ აკრძალვის შესახებ...

- წარმოიდგინეთ, ისინი „ნაცმოძრაობას“ მეძახიან მეც, ადამიანს, რომელსაც იდეოლოგიური დაპირისპირება მქონდა ზემოთ ხსენებულ პარტიასთან და დღემდე მაქვს. ამით ამაზე სასაუბროდ, ასახსნელად და ანალოგიური ქმედებისკენ მოვუწოდებდი სხვა პროდასავლურ ოპოზიციურ პარტიებსაც. ამ ყველაფრის მიუხედავად, მჯერა გარდაუვალი გამარჯვების, რადგან დღეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, უბრალოდ, რთულად მოსაძებნია ქვეყნის მასშტაბით.

„სრულყოფილია ის გაკვეთილი, რომლის მთავარი გმირები მოსწავლეები არიან“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ანა ანუშიძე ბათუმის მეორე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების და გეოგრაფიის პედაგოგია. დაუვიწყარი იქნება მისთვის 2024 წლის სექტემბერი - ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ მას მასწავლებლის ეროვნული პრემია გადაეცა. ანა ანუშიძე დღეს ჩვენი სტუმარია.

- დიდი საქმე და აღიარება თავისით არ მოდის. რით გამოგარჩიეს სხვა კოლეგებისგან?

- ჩვენი სკოლის დირექტორმა ქალბატონმა მარიზა აბაშიძემ სასკოლო საზოგადოებასთან ერთად წარმადგინა მასწავლებლის ეროვნულ პრემიაზე, რაც უკვე დიდი პატივი იყო ჩემთვის. წარდგენის წერილში აღნიშნული იყო: „სკოლის ბავშვთა ომბუდსმენის ინსტიტუტის დაარსება სრულიად განსაკუთრებული სიახლეა ყველა სკოლისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის (მოსწავლეთა მხარდაჭერის) სიღრმისეულად, მაღალი პასუხისმგებლობით განხორციელებას და ამ მიმართულებით ეფექტიანობის მუდმივ ზრდას. არაფორმალური განათლების კურსის „მოსწავლეთა ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება“ შექმნა, რომელიც განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის შესაბამისი რესურსებით და აქტივობებით, მიზნად ისახავს მოსწავლეებში ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების საბაზისო ცოდნის მიღებას და შესაბამისი, პრაქტიკული უნარების შეძენა-გაღრმავებას, ციფრული და მატერიალური ფორმატის, უნივერსალური დიზაინის საავტორო სასწავლო რესურსების ბანკის შექმნას სხვადასხვა საგანში, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განხორციელებული სხვადასხვა მასშტაბის (ეროვნული და საერთაშორისო) სასწავლო პროექტებს, რომელთა განხორციელებამაც ტრადიციული სახე მიიღო და ყოველწლიურად ხორციელდება, მაგალითად, ბავშვთა უფლებების კვირეული, კონსტიტუციის გაცნობის კვირეული. ჩვენი სკოლის მისია და მოსწავლის ქცევის კოდექსი; ჩვენი წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში; ქართველი ქალი მეცნიერები; თანამედროვე ქართული სოფლის განვითარების გზები; ის აქტივობები, რომელთა მიზანია სკოლის და თემის საჭიროებების დადგენა და მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება, ასევე, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება სკოლის საჭიროებების და გამოწვევების საპასუხოდ; სტატიები და კვლევები, რომლებიც მიეძღვნა სკოლაში პოზიტიური კულტურის განვითარების თვალსაზრისით, სასკოლო საზოგადოებაში გაზიარებული პასუხისმგებლობის, „ჩვენ“ განცდის დამკვიდრებას“ - ეს ჩემი გაკეთებული საქმეების ჩამონთვალია. მასწავლებლის როლი განუზომელია, სხვას რომ ასწავლო, თავადაც უნდა განვითარდე, საკუთარი მოსწავლეებისთვის პროფესიონალიზმის, კეთილსინდისიერების, შრომისმოყვარეობის მოდელად იქცე. ჩვენ, მასწავლებლები, საქმისადმი პასუხისმგებლობიან დამოკიდებულებას ყოველდღიურ შრომაში გამოვხატავთ.

- თქვენს სპეციალობას, დაცულ სადოქტორო ნაშრომს, სწავლისას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გავლილ პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ, ცოტა გასაკვირია, მომავალ სამსახურთა არეალი სხვა უნდა ყოფილიყო. არჩევანის მასწავლებლობაზე შეჩერება, რამ განაპირობა?

- მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში გადავწყვიტე, შემეძინა კიდევ ერთი პროფესია - გავმხდარიყავი მასწავლებელი. ვფიქრობდი, რომ საგანმანათლებლო სფეროში შემეძლო საზოგადოებისთვის ჩემი წილი სიკეთის გაკეთება. აქედან გამომდინარე, მაქვს ორი პროფესია. რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობებს, ამჟამად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვარ მიწვეული ლექტორი და სალექციო კურსი მიმყავს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე.

- მეგობრებმა და კოლეგებმა თქვენი სიხარული რა ფორმით გაიზიარეს?

- უდიდესი ბედნიერება იყო ჩემ ირგვლივ სიხარულით გაბრწყინებული თვალებისა და მომღიმარი სახეების ხილვა. ამ უდიდესი ჯილდოს მიღება ჩვენმა სკოლამ, მთლიანად სასკოლო საზოგადოებამ დიდი სიხარულით მომილოცა, პომპეზური ღონისძიებით აღნიშნეს. ყველასი უსაზღვროდ მადლიერი ვარ.

- ეროვნული პრემია მოგიწოდებთ, მოსწავლეებს ერისა და ქვეყნის სიყვარული ასწავლოთ. ეს ასეც არის, მაგრამ ადგილის ტკეპნაც არაა მართებული...

- მოსწავლის პატრიოტ მოქალაქედ ჩამოყალიბება ერისა და ქვეყნის სიყვარულით იწყება. რაც შეეხება სიახლეებს, ამჟამად ვმუშაობ რამდენიმე ახალ პროექტზე, რომელთა წარდგინებაც მიმდინარე სასწავლო წელს მაქვს დაგეგმილი. ეს პროექტებია: ხელოვნური ინტელექტის ელემენტების შემოტანა სკოლებში ჩატბოტების სახით საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ციფრული რესურსები მათემატიკაში სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის, ქართულ-ოსური და ქართულ- აფხაზური სასაუბრო ანიმაციები. ამასთან, დიდი სურვილი მაქვს, ვითანამშრომლო გამომცემლობასთან, რომელიც მხარს დამიჭერს, ჩემი ავტორობით გამოიცეს დამხმარე სახელმძღვანელო ქართულ ენასა და სამოქალაქო განათლებაში „ქართველი მწერლების და საზოგადო მოღვაწეების პუბლიცისტური წერილები-აქტივობები და შეფასების რუბრიკები“, დავამკვიდრო საავტორო სასკოლო სასწავლო რესურსების ყოველწლიური გამოფენა-ფორუმი.

- არის მოსაზრება, რომ სკოლებში რელიგიის გაკვეთილები ჩატარდეს. რამდენად ეთანხმებით ამას?

- ვფიქრობ, რელიგიის სწავლება შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმით, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მულტიკულტურალიზმის და შემწყნარებლობის განვითარებას.

- რამდენად იცავთ იმ ადათ-წესებს, რომლებიც წინა თაობებიდან მოდის?

- ვფიქრობ, საღად მოაზროვნე, ნათელი გონების ახალგაზრდები შეძლებენ, გამოარჩიონ კარგი და განავითარონ.

- როგორი გაკვეთილი მიგაჩნიათ სრულყოფილად?

- სრულყოფილია ის გაკვეთილი, რომლის მთავარი გმირები მოსწავლეები არიან, მასწავლებელი მიმართულებას აძლევს და მისი მინილექცია არ აჭარბებს სრული საგაკვეთილო დროის 20 პროცენტს.

- პედაგოგიურ ასპარეზზე ერთობ ადრეულ ასაკში მოვიდა აღიარება. სხვა მიმართულებით ხომ არ აგვიანებთ?

- დაოჯახებას გულისხმობთ? ალბათ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. ვფიქრობ, ყველაფერი მაშინ მოდის, როდესაც ამისთვის მზად ვართ.

- ოჯახზე რას გვეტყვით?

- ჩემი ოჯახი ჩემი მშობლებია, ჩემი მთავარი ჯილდო და მადლობა ღმერთს, ამისთვის.

- ვისთან მეგობრობთ და მეგობრის ღალატი რამდენად ასატანია?

- ადამიანი ყოველთვის ცდილობს, საკუთარი თავის მსგავსი ადამიანები იპოვოს და შემდეგ მათთან მეგობრობა ძალიან ბუნებრივია. რაც შეეხება ღალატს, ალბათ, სწორად არჩეული მეგობრები არ გვიღალატებენ.

- მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან თუ მეგობრობთ?

- ყოველთვის აღვნიშნავ, რომ მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან ჩვენ, მასწავლებლებს უნდა გვქონდეს მეგობრული დამოკიდებულება, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს სასწავლო პროცესის ობიექტურად წარმართვაში.

- პრემიის მიღებისთანავე, ჟურნალისტების გარემოცვაში მოექეცით. რა შეხედულება გაქვთ თანამედროვე ჟურნალისტიკაზე?

- სამწუხაროა, როცა იმაზე ფიქრი მიწევს, როგორ გამოიყენებენ ჩემს ინტერვიუს ან ფრაგმენტს ინტერვიუდან...

- ამბობენ, ზოგჯერ სიტუაციაზე მორგებული ტყუილი კარგიაო...

- ტყუილი სისუსტეა, მორალური სისუსტე.

- უცხოეთში ცოდნის მიღება და საკუთარი ქვეყნის სამსახურში ყოფნაა მთავარი, თუ იქ დარჩენა და...

- მე უარი ვთქვი უცხო ქვეყანაში დარჩენაზე. ვფიქრობ, შემიძლია ცოდნისა და უნარების ჩვენს ქვეყანაშივე რეალიზება და უამრავი სიკეთის კეთება.

- მოძღვრისთვის მიცემული პირობა, რომლის ერთგული ხართ.

- ასეთი ორია. პირველი - ყოველთვის ვიმუშავებ ჩემს მშობლიურ სკოლაში და მეორე - აუცილებლად ვიფიქრებ ოჯახის შექმნაზე.

ქობულეთის მოსახლეობა – ამოუცნობ არსებაზე

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

დაახლოებით ერთი თვეა, რაც ქობულეთის რაიონის სხვადასხვა სოფელში - ქაქუთში, ლეღვაში, სამებაში, აჭყვისთავში, კვირიკესა და ბობოყვათში მოსახლეობა ამოუცნობ არსებაზე საუბრობს და მის გაუვნებელყოფას ცდილობს

იმაზე, თუ ვის ან რას წარმოადგენს ეს არსება, მისტიკურია თუ რეალური, სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, მაგრამ ფაქტი ერთია, ის სახლებს ქვებს ესვრის, დაუპატიჟებელი „სტუმარია“და ადამიანებს აშინებს. ერთი შეხედვით, ეს ბევრისთვის დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტები სხვა რამეზე მიუთითებს.

ზოგიერთი ადამიანი ამბობს, რომ ეს ე.წ. რეიკია, რომელიც კუმისში 2016 წელს გამოჩნდა და ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც ახლა - ქობულეთში. წლების წინ მსგავს შემთხვევას იხსენებენ ბათუმში, ურეხის დასახლებაში მცხოვრებლებიც, როდესაც ამოუცნობი არსება ორ კონკრეტულ სახლს ქვებს ესროდა გარკვეული ხნის განმავლობაში, ზოგი კი ჩვენთან საუბარში გამორიცხავს მისტიკურ არსებას და ამბობს, რომ ადამიანია, რომელიც სპეცრაზმელის ფორმაშია გადაცმული. ჩვენ ქობულეთის სხვადასხვა სოფელში მცხოვრებლებს გავესაუბრეთ და მათგან მოვისმინეთ განსხვავებული მოსაზრებები, ზოგიერთმა მათგანმა კონფიდენციალურობა არჩია.

- რასაც ხალხი ამბობს, სიმართლეა. თავად ვნახე ორ მეტრზე მეტი სიმაღლისაა, თვალებით ანათებს, სწრაფად ჩნდება ერთი ადგილიდან მეორეზე და მიწაზე კვალს არ ტოვებს. ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით. პოლიციის ბრიგადები გადიან და ყოველ ღამე პატრულირებენ, მაგრამ ვერ იჭერენ. გინდ დაიჯერეთ, გინდ - არა. არც მე მჯეროდა და დავცინოდი მათ, ვინც ამბობდა, რომ რაღაც არსება დადიოდა, მაგრამ მართალი აღმოჩნდა, - გვითხრა სოფელ კვირიკეში მცხოვრებმა ქალბატონმა.

სოფელ კვირიკეში მცხოვრებლები ამბობენ, რომ მათ დაღამების ეშინიათ.

- დაღამება აღარ გვინდა. რამდენიმე დღის წინ ჩემს კარზე აკაკუნებდა და არაადამიანურ ხმებს გამოსცემდა, ისეთი სისწრაფით დარბოდა, რომ ვერცკი ახერხებდნენ მის დაჭერას. ფსიქოლოგიური შოკი გვაქვს მიღებული. უკვე ყველაფრის გვეშინია, - მითხრა რესპონდენტმა სოფელ კვირიკედან.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ადამიანების ერთგვარი დაჯგუფებაა, რომელიც ხალხს ღამით აშინებს.

- მოსახლეობაში დაძრწიან ადამიანები, რომლებიც აღებენ სახლების კარებს, ებრძვიან ფრინველებსა და ცხოველებს. ეს არის შოკისმომგვრელი და საშიში, პირველ რიგში, იმიტომ, რომ სოფლებში უამრავი მოხუცებული და ბავშვი ცხოვრობს, რომლებიც მარტო სახლში ვეღარ რჩებიან. მოსახლეობა კრიტიკულ მდგომარეობამდეა მისული. ჩემი ინფორმაციით, ეს ადამიანი ნიღბით დადის და ფეხებზე მიმაგრებული აქვს სანათები. სოფელში იყო საუბარი იმაზე, რომ ეს მხოლოდ ერთი ადამიანის გაკეთებული არაა და ორი ან უფრო მეტია, რომლებიც იბრძოდნენ ავღანეთის ომში და ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოიქცნენ. დედაჩემთან ვიყავი სამებაში, როდესაც მსგავსი ფაქტი მოხდა ჩვენ მეზობლად. შავებში ჩაცმული პიროვნება შევიდა სამზარეულოში და მეზობელმა დაინახა, რომ საჭმელს ჭამდა. ვფიქრობ, რომ ეს არის ადამიანთა ჯგუფი. ქობულეთის სოფლები ვიცით, რა მანძილითაა დაშორებული ერთმანეთისგან და გამორიცხულია, რომ ერთი და იგივე დღესა და დროს ინციდენტი ხდებოდეს სხვადასხვა სოფელში, - გვითხრა ია წერეთელმა.

ქალბატონი ნინო სოფელ აჭყვისთავში ცხოვრობს და ჩვენთან საუბარში დეტალურად იხსენებს იმ ღამეს, როდესაც უცნაურმა არსებამ სახლში მიაკითხა.

- ღამის სამი საათი იყო, მეძინა და ხმაურმა გამაღვიძა. პირველ სართულზე გვაქვს მანდარინის საწყობი და ამ საწყობიდან ამოდიოდა ხმები, იფიქრებდი, რამდენიმე ადამიანი საუბრობსო. რაც ეს ამბავი გავიგე, მას შემდეგ ფანჯრებს და კარებს ვკეტავ. იმ ღამით ფანჯრების გაღების ხმა გავიგონე და ამან დამარწმუნა, რომ სწორედ ის არსება მოვიდა, რომელსაც ასე ვემალებოდი. შიშით საწოლიდან ვერ ვდგებოდი და თან არ მინდოდა, საკუთარი თვალით მენახა, რადგან შეიძლება იქვე შიშით გული გამსკდომოდა. მეორე სართულზე ჩემი საძინებლის ფანჯარასთან ამოვიდა, ცხვირი მოადო და ყნოსავდა, მე კი ეს მესმოდა. ამის შემდეგ გზა განაგრძო და კედელს აჰყვა სახლის სახურავამდე. სახურავზე გავლის ხმები მესმოდა. არ ვიცი, როგორ, მაგრამ სხვენში შევიდა და იქიდანაც ისმოდა მძიმე ფეხის ხმა. დილის 3 საათიდან 6 საათამდე მოძრაობდა, შემდეგ კი სახურავიდან გადახტა და გაუჩინარდა. გუშინ მეზობელთან შესულა, დივანზე დამჯდარა და ამ დროს დაუნახავთ. როგორც მეზობელმა ქალმა მითხრა, ადამიანის ფორმა აქვს, შავია და თვალებიდან შუქს გამოსცემს. რაც შეეხება ქალბატონს, რომელმაც დაინახა, შოკურ მდგომარეობაშია.

სოფელ ლეღვაში მცხოვრები კი გვიყვება, რომ შუაღამის სამ საათზე ამოუცნობმა არსებამ ბოსლიდან საქონელი გამოუშვა, საქათმიდან - ფრინველები. გარეთ რომ გავიდნენ, დაინახეს, რომ რაღაც არსება თვალებით ანათებდა და მალევე გაუჩინარდა.

ჩვენ ვკითხეთ აღნიშნულ სოფლებში მცხოვრებლებს, ამ ამბის გარკვევაში როგორია პოლიციის ჩართულობა. მათი თქმით, პოლიცია ჩართულია საქმეში და მიმდინარეობს სამძებრო სამუშაოები.

ფაქტია, ქობულეთის სოფლებში პანიკაა და მოსახლეობა შიშით განაგრძობს ცხოვრებას. ვიღაცისთვის რეიკის არსებობა დაუჯერებელია, ვიღაცამ კი საკუთარი თვალით ნახა. მაინც რა ხდება ქობულეთში, ჯერ დაზუსტებით არავინ იცის, რადგან ვერსია ძალიან ბევრია, რამდენიმე ახლა თავადაც წაიკითხეთ. სად იმალება სიმართლე, ამას, იმედია, მალე გავიგებთ.

„სპორტული წარმატების სტრატეგია“

ამ სახელწოდების ყოველწლიურ ფორუმს, სპორტსმენებთან ერთად, სპორტის სფეროში მომუშავე ადამიანები (სახელმწიფო დაწესებულებები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სპორტული ფედერაციები, აკადემიური წრეები) დაესწრნენ. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და აჭარის სპორტის დეპარტამენტი

ფორუმში ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები ლაშა ტალახაძე, გენო პეტრიაშვილი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (რომელმაც პარიზის ოლიმპიადაზე იმსაჯა) ზაზა ჯიბლაძე, ოლიმპიური ჩემპიონი, მწვრთნელი გიორგი ასანიძე, წარმატებული ვეტერანი სპორტსმენები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათ სპორტულ მიღწევებსა და გამოწვევებზე იმსჯელეს. ფორუმის მიზანი იყო სპორტის სფეროს მმართველობაში გამოცდილების გაზიარება, სიახლეების დანერგვა, სარეკომენდაციო დოკუმენტის შექმნა, რომელიც შემდგომში ქართული სპორტის სტრატეგიულ დოკუმენტში აისახება. ფორუმის მონაწილეებს მისალმნენ აჭარის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირმა ნიჟარაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი. საუბარი შეეხო ბოლო წლებში ქართულ სპორტში მიღწეულ წარმატებებს, ასევე, სპორტის კიდევ უფრო განვითარების გზებს. აღინიშნა, რომ ბოლო წლებში აჭარის რეგიონიდან მოასპარეზე სპორტსმენთა შედეგების მაჩვენებელი გაზრდილია.

შეხვედრა დისკუსიის ფორმატში წარიმართა, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, საკუთარ მაგალითებზე დაყრდნობით, ქვეყანაში სპორტის განვითარების შესახებ, განვლილ გზებზე ისაუბრეს.

> ***„ თუ გასულ წლებში პროგრამულად დაფინანსებული იყო 25 სპორტული ფედერაცია, დღეს 42 ფედერაციას ვუჭერთ მხარს. სპორტის განვითარების ორი ქვეპროგრამა მოქმედებდა, დღეს 6 პროგრამას ვახორციელებთ. ბევრი პოზიტიური სიახლეა ჯილდოებთან და სტიპენდიებთან მიმართებაში, ჯილდოები სოლიდურად გაიზარდა და მილიონი ლარი შეადგინა, გაიზარდა იმ წარმატებულ ბენეფიციართა რაოდენობა, ვინც ყოველთვიურ სტიპენდიებს იღებს***

აჭარის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირმა ნიჟარაძემ ვრცლად ისაუბრა აჭარის სპორტსმენების წარმატებებზე. მან მიულოცა ოლიმპიურ ჩემპიონებს - ლაშა ტალახაძესა და გენო პეტრიაშვილს დიდი წარმატება და მადლობა გადაუხადა. როგორც მან აღნიშნა, საერთაშორისო ტურნირებზე აჭარის რეგიონიდან მოასპარეზე სპორტსმენები წარმატებებს აღწევენ. მათი თავდაუზოგავი შრომით რეგიონში სხვადასხვა სინჯის 250 მედალია მოპოვებული. მადლობა გადაუხადეს ვეტერან სპორტსმენებს, სპორტის დამსახურებულ მუშაკებს, რომლებმაც წლების წინ ჩადეს ის მარცვალი, რომელიც დღეს ასე ღვივის.

- სპორტში წარმატებები არ გვაკლია, მაგრამ იგი ცოცხალი პროცესია და მას განვითარება და წინსვლა სჭირდება. ამიტომ ვცდილობთ, გავაძლიეროთ სპორტული ფედერაციები, რაც შეიძლება მეტი მოზარდი და ახალგაზრდა მოვიზიდოთ სპორტში, მადლობა მინდა გადავუხადო აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძეს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჯიშვილს, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ჯაბა ფუტკარაძეს თანადგომისთვის. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სპორტსმენების წარმატებით ვიამაყოთ. ხორციელდება სპორტის განვითარების სხვადასხვა პროგრამა და ამისთვის ბიუჯეტი წლის ბოლოს ყოველთვის იზრდება. შედარებისთვის, 2012 წლისთვის სპორტის დეპარტამენტის ბიუჯეტი მილიონ-ნახევარი ლარი იყო, დღეს ის 9 მილიონ ლარს შეადგენს. თუ გასულ წლებში პროგრამულად დაფინანსებული იყო 25 სპორტული ფედერაცია, დღეს 42 ფედერაციას ვუჭერთ მხარს. სპორტის განვითარების ორი ქვეპროგრამა მოქმედებდა, დღეს 6 პროგრამას ვახორციელებთ. ბევრი პოზიტიური სიახლეა ჯილდოებთან და სტიპენდიებთან მიმართებაში, ჯილდოები სოლიდურად გაიზარდა და მილიონი ლარი შეადგინა, გაიზარდა იმ წარმატებულ ბენეფიციართა რაოდენობა, ვინც ყოველთვიურ სტიპენდიებს იღებს. ყოველივე ეს დიდი მოტივაციაა სპორტსმენებისთვის. აჭარა არაერთი მაღალი დონის სპორტული ღონისძიების მასპინძელია. სპორტის სხვადასხვა სახეობის არაერთი ბაზა გაიხსნა. მათ შორისაა ჩაქვის ძალოსნობის ბაზა, სადაც სულ მალე საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდება. აშენდა ქვიშის მოედანი, სადაც სპორტის სხვადასხვა სახეობაში ღონისძიებები ტარდება. მალე აიგება ყინულის არენა და საცურაო აუზი, სადაც ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს ვუმასპინძლებთ. ასევე, აიგება ჭადრაკის სასახლე უნიკალური პროექტით. ყველაფერს გავაკეთებთ სპორტსმენების ხელშესაწყობად, - აღნიშნა ირმა ნიჟარაძემ.

- ის სპორტული მიღწევები, რომლებიც ჩვენს რეგიონს, მთლიანად ქვეყანას აქვს, ნამდვილად შთამბეჭდავია, ასევე, არსებული ერთიანობა და პოლიტიკაც. დღეს, ფორუმის ფარგლებში, ჩვენ ვმსჯელობთ დადებით მხარეებზე, დაგეგმილ სტრატეგიაზე, გეგმებზე. ამავდროულად, გვქონდა ღია საუბარი არსებულ გამოწვევებზე. მადლობა ოლიმპიელებს გაჟღერებული ჰიმნისთვის, ქართული დროშის აფრიალებისთვის. ეს სპორტსმენები ჩვენი ახალგაზრდებისთვის სამაგალითონი არიან. ბოლო სამ წელიწადში 500 პროცენტითაა გაზრდილი სპორტში ახალგაზრდების ჩართულობა, - აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა.

- დღეს მნიშვნელოვანი ფორუმი გაიმართა, რაც საბოლოოდ, სპორტის სტრატეგიის ჩამოყალიბებაში სპორტსმენების შედეგებზე აუცილებლად აისახება. სპორტის განვითარების ნაწილში, ჩვენი ქალაქი არის წარმატებული, მათ შორის, ინფრასტრუქტურული, ასევე, ბოლოდროინდელი მიღწევების კუთხით. ეს წარმატებები, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, რადგან ჩვენი ქალაქი ამ მიღწევებისთვის ევროპის სპორტის ქალაქის ჯილდოს მფლობელია. ქართული სპორტის მხარდაჭერაა ის, რომ ლაშა ტალახაძე და გენო პეტრიაშვილი საქართველოს პარლამენტში ჩვენი წარმომადგენლები, იქ სპორტის მთავარი მხარდამჭერები იქნებიან, - თქვა არჩილ ჩიქოვანმა.

ოლიმპიელებმა დარბაზში დასმულ შეკითხვებს უპასუხეს. შეხვედრასა და პანელებს ორგანიზაცია „სპორტი განვითარებისთვის - საქართველოს“ ხელმძღვანელი ანატოლი კორიპანოვი უძღვებოდა. გაიხსენეს წარმატებები, დასახეს სამომავლო პერსპექტივები, შესაძლებლობები არსებული დიდი რესურსის ეფექტურად გამოყენებისთვის. ისაუბრეს სპორტსმენთა კარიერულ განვითარებაზე, სასპორტო განათლებაზე. აღინიშნა, რომ ბოლო წლებში ქართულ სპორტში მიღწეულმა წარმატებებმა საზოგადოება შეკრა, გაიზარდა კერძო სექტორის დაინტერესება სპორტისადმი, ასევე - დაფინანსება, ითქვა, რომ აჭარის რეგიონში სპორტსმენებს დიდი მხარდაჭერა აქვთ.

ლაშა ტალახაძემ აღნიშნა, რომ კარგი სპორტსმენი არაფერია კარგი მწვრთნელის გარეშე. „ათასობით ხმა ისმის დარბაზში და მე მხოლოდ ის ერთი - ჩემი მწვრთნელის ხმა მესმის“, - თქვა მან.

როგორც ანატოლი კორიპანოვმა გვითხრა, დღის მეორე ნახევარში პანელებში ახალგაზრდა სპორტსმენები მონაწილეობდნენ, მათ შორის რამაზ ზოიძე, სალომე მელია, პარასპორტსმენი ანა მგელაძე, ისაუბრეს სპორტში გოგონათა ჩართულობაზე, განიხილეს პარასპორტის განვითარების საკითხები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო სასპორტო განათლება. სპორტსმენებმა ისაუბრეს პროფესიული კარიერის და განათლების შერწყმაზე, გამოწვევებზე, მისი მოგვარების გზებზე, სპორტის სფეროსთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. ერთ-ერთი იყო სპორტული მედიცინა - სპორტსმენებისა და მწვრთნელების ფსიქოლოგიური მომზადება. სპორტული კლუბის მართვაზე, აქ არსებულ გამოწვევებზე, პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრა ერთ-ერთი წარმატებული კლუბის ხელმძღვანელმა ჯაბა ჭანტურიამ.

- ძალიან კარგი შეხვედრა იყო, სხვადასხვა თაობის ადამიანები შევიკრიბეთ, გავუზიარეთ ერთმანეთს პროფესიული ცოდნა, გამოცდილება, რომელიც ბოლო წლებში დავაგროვეთ. ვფიქრობ, ეს ყველაფერი გამოადგება ქართულ სპორტს, განსაკუთრებით, მომავალ თაობას და ესაა მნიშვნელოვანი, - გვითხრა გენო პეტრიაშვილმა.

- პირველად ვმონაწილეობ ასეთ ფორუმში. ეს ჩვენთვის, მომავალი თაობისთვის, ჩვენი განვითარებისთვის აუცილებელია, - თქვა საქართველოს ნაკრების წევრმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რამაზ ზოიძემ.

ფორუმზე აჭარის მთავრობის წარმომადგენლებმა სპორტსმენებსა და მწვრთნელებს კიდევ ერთხელ გამოუცხადეს მხარდაჭერა. ხაზი გაესვა სახელმწიფოს როლს სპორტის განვითარებაში.

საერთაშორისო ტურნირი – ბილიარდში

დასრულდა საერთაშორისო ტურნირი პულში AJARA CUP 2025, რომელშიც ცხრა ქვეყნიდან 54 სპორტსმენი მონაწილეობდა. გამარჯვებული ოთხეული ასე გამოიყურება: პირველ ადგილზე მარიუშ სკონეჩნი (პოლონეთი) გავიდა, მეორეზე - ქრისტიან მრვა (სლოვაკეთი), მესამეზე - ნოდარ ბაქრაძე (საქართველო) და რუსლან გუბატოვი (აზერბაიჯანი).

გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, საქართველოს ნაკრების ლიდერებმა, როგორც თბილისიდან, ისე ბათუმიდან, საკუთარ შესაძლებლობებზე სუსტად იასპარეზეს. 16 საუკეთესოში მოხვედრილი 9 ქართველიდან მხოლოდ სამი გავიდა შემდეგ ეტაპზე, ხოლო ნოდარ ბაქრაძემ საბოლოოდ ბრინჯაო დაისაკუთრა.

წარმატებულად იასპარეზეს ტურნირზე დაშვებულმა აჭარის ნაკრები გუნდის იუნიორმა წარმომადგენლებმა, 12 წლის ალექსი სოლომონიძემ (მან ორი გამარჯვება იზეიმა) და 13 წლის ლევან კიკალიშვილმა (მან კონტრაში წააგო ერთ-ერთ უძლიერეს ქართველ მობილიარდე, გივი ძებნიაურთან).

როგორც აჭარის ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტმა თემურ კახიძემ გვითხრა, EE-BC-ს პრეზიდენტმა მარჩინ კრჟემინსკიმ დიდი საჩუქარი გაუკეთა აჭარის ბილიარდის ფედერაციას

- ბატონმა მარჩინ კრჟემინსკიმ საჩუქრად 3500 ლარამდე ღირებულების „პრედატორის“ ფირმის პულის კია გადმოგვცა. ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილებით, აღნიშნული კია სარგებლობაში გადაეცა ახალგაზრდა, იმედისმომცემ სპორტსმენს, აჭარის ნაკრების წევრს, 12 წლის ალექსი სოლომონიძეს, რომელმაც დიდების ტურნირზე ორი შეხვედრა მოიგო, - გვითხრა თემურ კახიძემ.

გვერდი მოამზადა მანანა ძიძიშვილმა

გალერეა - რენესანსის კლასიკოსთა ელფერით...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ბათუმში, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩაზე, ერთ ლამაზ, კოხტა ეზოში მოფუსფუსე ქალბატონი უთუოდ მიიპყრობს თქვენს ყურადღებას, იგი ყვავილებს სიყვარულით დასტრიალებს თავს და ისინიც თავიანთი სილამაზით ახარებენ... ასე იყო მაშინაც, როცა მისი შვილი - როსტომი (როცინი) შემოქმედებითი აღმავლობის ეტაპზე იყო და ულამაზეს პორტრეტებს ქმნიდა, არაორდინარულ სურათებს ხატავდა... ახლა ქალბატონი ვარდო ხაბაძე იმ წუთებს იგონებს, როცა ვაჟიშვილი ეუბნებოდა, ვისაც მცენარეები უყვარს, ფაქიზი სული აქვსო. დიახ, ფაქიზი სულის მქონეა ქალბატონი ვარდო - ზურაბ ხაბაძის და და როსტომ ცინცაძის (როცინის) დედა, ადამიანი, რომელმაც დიდი განსაცდელი გამოიარა, მაგრამ არ გატყდა, პირიქით, თავისი ყოველდღიური ცხოვრებით შეძლო, ამაღლებულიყო ყოფითზე და სიკეთის, ხელოვნების, პოეზიის, სილამაზის ტრფიალად დარჩენილიყო. უჩვეულოა გალერეა, რომელიც მის სახლშია მოწყობილი, აქ როსტომის არაერთი საინტერესო და შესანიშნავი ფერწერული სურათია გამოფენილი. როცა გალერეას ათვალიერებ, შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს რენესანსულ ეპოქაში მოხვდი, რომ დიდი ფერმწერების პანოებს შესცქერი... მადლობა, ქალბატონო ვარდო, გულწრფელი საუბრისა და მასპინძლობისთვის.

- ეს სიყვარული ადრიანი ბავშვობიდან მოდის, სულმნათი დედაჩემი ძალიან ხშირად გვიკითხავდა ზღაპრებს, წიგნის სიყვარული, სილამაზის აღქმა მან გვასწავლა. ხაბაძეთა საგვარეულოს ხელოვნების სიყვარული გვაქვს გენში (ალბათ, მიკერძოებაში არ ჩამომართმევთ), დიდი მხატვარი იყო ჩემი ძმა ზურაბ ხაბაძე, დიდი ქორეოგრაფი - ბიძა, ენვერ ხაბაძე, გვყავს მუსიკოსები... მათი შტოა ჩემი როსტომ ცინცაძე... კიდევ შორს წაგვიყვანს ჩამონათვალი.

- ის ფაქტი, რომ დიდი მხატვრების - ზურაბ ხაბაძის და, როსტომ ცინცაძის დედა ბრძანდებით, ბევრ სათქმელს აჩენს და მკითხველიც ინტერესით მოგისმენთ...

- ის, რომ დიდი მხატვრების გვერდით ვცხოვრობდი და იქმნებოდა ეპოქა, გათავისებულ-გაცნობიერებული მქონდა. დაუღალავად შრომობდა ზურაბ ხაბაძე. ლიტერატურის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით ახერხებდა, გაეცოცხლებინა ვაჟას უკვდავი გმირები,

ქმნიდა უამრავ ილუსტრაციას. ამ სამყაროში იზრდებოდა და სულიერად საზრდოობდა ჩემი როსტომი. ის ბავშვობიდან ხატავდა და ისე, რომ ბიძა გაოცებას ვერ მალავდა, სამომავლოდ დიდი ხელოვნებისკენ ხედავდა მის გზას. რაღა დაგიმალოთ და მხატვრობა ჩემთვისაც მთავარი სიყვარულის სფეროა. ჯერ შ. ზამთარაძის სამხატვრო სკოლა დავამთავრე, შემდეგში - ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, ფერწერის განხრით, ალბათ, ეს ნიჭიც შემთხვევითობა არ იყო ჩემი როსტომისთვის.

- თქვენს შვილზე და მის საოცარ ნახატებზე მოგვითხრეთ... როგორ იქმნებოდა ისინი და მათი პოპულარიზაციისთვის რა პერსპექტივაა?

- განსაცვიფრებელი ფანტაზიის მქონე, ხატვის უმაღლესი მსახური იყო... რასაც წვდებოდა, ტრიუმფალურად ამთავრებდა. მისი შემოქმედება მთლიანად დრამატული იყო. მან პორტრეტების მთელი სერიალი შექმნა, სადაც სულის შფოთვა და მარადისობისკენ ლტოლვა აშკარად იკითხება. ამჟამად ოჯახში გვაქვს საოცარ ნამუშევართა გალერეა. ალბათ, არცერთი მნიშვნელოვანი მუზეუმი უარს არ იტყოდა მის შეძენა-გამომზეურებაზე. უყოყმანოდ შეიძლება ითქვას - „რენესანსის“ კლასიკოსთა გაგრძელებაა. ჩვენს ამჟამინდელ ყოფიერებაში პერსპექტივას ვერ ვხედავ, რადგან ქვეყნის მართვა ისეთ ხალხს აბარია, რომ უძნელდებათ სულიერი საზრდოსა და სილამაზის მსახურებას დაუთმონ დრო, თავიანთი განდიდებისა და სიმდიდრის დასაგროვებლად იბრძვის ყველა. განა გარდაცვალებაა საჭირო, რომ ადამიანი აღიარო? დამეთანხმებით, რამდენი ნიჭიერი ადამიანი ვერ შეაფასა ქვეყანამ, ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს. შემდეგ კი იწონებენ თავს, ჩვენი ქვეყნის შვილი იყოო... ვფიქრობ, ნიჭიერი მეცენატები თუ უპოვნიან გზას ასეთ ხელთუქმნელ შემოქმედებას.

- ოჯახური ტრადიცია გრძელდება, თქვენი შვილიშვილიც ფუნჯთან მეგობრობს.

- როსტომის უნიჭიერესი შვილი თეოდორე გასაოცრად ხატავს პატარაობიდან. როსტომი აღნიშნავდა, თედო ისე ხატავს, ალბათ, კორექტივებს ვეღარ შევიტანო. ახლა პატარა „ტინტორენტო“ 16 წლისაა. იმედია, მომავალი ყველაფერ საუკეთესოს უმზადებს.

- თქვენს სულიერ ნათესავებად ვის თვლით, ვინ გიყვართ?

- სულიერ ნათესავად ვთვლი იმათ, ვისაც შეუძლია ლამაზი და განუმეორებელი სამყაროს აღქმა ფუნჯით, კალმით, სცენით, ვისთანაც არ მიჭირს საუბარი და აზრთა გაზიარებას ვახერხებ.

- ძლიერ ადამიანად გთვლიან. თავად რას ფიქრობთ საკუთარ თავზე?

- სიძლიერეს რაც შეეხება, ალბათ, ვარ, მთელი ცხოვრება ვებრძოდი ყოველგვარ წინააღმდეგობას, სიძნელეები ახლავს „გენიოსებთან“ ცხოვრებას... ისინი ერისა და ხალხისთვის იბადებიან, მე მთელი არსებით ვუგებდი ჩემს დიდ როცინის, ის ხშირად იმეორებდა, შენ ჩემი ცოდნისა და შემოქმედების სათავე ხარო... ალბათ, სიძლიერემ მომიყვანა აქამდე.

- ულამაზესი ყვავილები ამკობს თქვენს საცხოვრისს... როცა მათ თავს დასტრიალებთ...

- ყვავილები ჩემი სულიერი სამყაროა, მათ ვეფერები და ვემსახურები. ეს ძალიან მოსწონდა როსტომს, ფოტოებს გვიღებდა და გვაფიქსირებდა ყვავილებთან ერთად. ვისაც მცენარეები უყვარს, ფაქიზი სული აქვსო. ალბათ, ასეა, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, მათზე უარი ვერ ვთქვი... უხილავი კონტაქტები მაქვს მათთან, ისინიც ამ ზრუნვას სილამაზით პასუხობენ.

- სოციალურ მედიაში თქვენი პოსტები და ლიტერატურული კომენტარები ყურადღებას იპყრობს, ლიტერატურულ საღამოებსაც ხშირად ესწრებით...

- ნიჭიერებას გვერდს ვერ ავუვლი. როგორც კი გამოჩნდება ჩემთვის მისაღები და საოცარი ნაწარმოები თუ ნახატი, მინდა, სიყვარულით აღვნიშნო ეს ყველაფერი. ლიტერატურულ საღამოებს ხშირად ვესწრები და არაერთი მწერლის ფილოსოფიური ხედვა, უცნაური სამყარო ჩემში მუდამ გაოცებასა და სიყვარულს იწვევს. საზოგადოება მათ კარგად იცნობს.

- როგორც ძირძველი ბათუმელი, ახალ ბათუმზე რას იტყვით...

- ბათუმელობა საპატიო წოდებაა, მაგრამ ახალ ბათუმზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, რადგან ჩემში ის ძველი ხელშეუხებელ მოგონებად დარჩა, ზოგიერთ ადგილს ვერიდები, რომ მოგონებათა მწარე ქაოსში არ გავეხვიო...

- ყველაზე დიდ წოდებად რას თვლით?

- ადამიანობას და ერისთვის ზრუნვას.

- ნატვრა, რომლის ახდენაც გსურთ...

- როსტომის ვაჟის გაცისკროვნებული მომავლის ხილვა.

- ახალგაზრდობას რას ურჩევდით?

- ახალგაზრდობას ვურჩევდი სწორი და გათვლილი ნაბიჯებით სიარულს, ყველა ღირსშესანიშნაობის შენახვასა და გაფრთხილებას საშვილიშვილოდ.

- კითხვა, რომელიც უნდა დამესვა... თავად დასვით და უპასუხეთ...

- გულისყურით რატომ არ ვეკიდებით ადამიანები ერთმანეთს? თანაზიარობა რატომ გვიჭირს? - ალბათ იმიტომ, რომ ბევრს სიყვარულის უნარი დამცრობილი აქვს... ასე რომ არ ყოფილიყო, ტრაგიკულად არ დაამთავრებდა ჩემი როსტომი სიცოცხლეს. მაინც მწამს, სანთელ-საკმეველი თავის გზას იპოვის. ეს რწმენა მასულდგმულებს და მაცოცხლებს.

> *„მთელი ცხოვრება ვებრძოდი ყოველგვარ წინააღმდეგობას, სიძნელეები ახლავს „გენიოსებთან“ ცხოვრებას... ისინი ერისა და ხალხისთვის იბადებიან, მე მთელი არსებით ვუგებდი ჩემს დიდ როცინის, ის ხშირად იმეორებდა, შენ ჩემი ცოდნისა და შემოქმედების სათავე ხარო... ალბათ, სიძლიერემ მომიყვანა აქამდე.*



„ბიაფური“ დღეები – ბათუმში

ნანა აბულაძე 577 20 35 90

27 სექტემბერს დაიწყო და გუშინ დამთავრდა ბათუმის კინოფესტივალი „ბიაფი“, რომელსაც კინომოყვარულები წლიდან წლამდე ელოდებიან

კინოფესტივალის გახსნის დღე ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც 19 წელია, ერთგულად მოჰყვება ფესტივალს, სასიხარულოსთან ერთად, სევდიანიც იყო, რადგან მას პირველად არ ესწრებოდა რეჟისორი, ტელეწამყვანი და „ბიაფის“ დამაარსებელი გიორგი გოგიბერიძე, რომელიც შარშან, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. „ბიაფის“ მენეჯერმა ზვიად ელიზიანმა კიდევ ერთხელ მადლიერებით მოიხსენია გიორგი გოგიბერიძე და აღნიშნა, რომ მისი ღვაწლი ფასდაუდებელია როგორც ფესტივალის, ასევე - რეგიონის წინაშე.

„ბიაფის“ ისტორია 2006 წლიდან იწყება და, როგორც აღვნიშნეთ, წელს მეცხრამეტედ იმართება. ამ დროის განმავლობაში, მიუხედავად შექმნილი პრობლემებისა, უწყვეტად იმართება და, შეიძლება ითქვას, რომ მოახერხა, ჩამოყალიბებულიყო წარმატებულ საერთაშორისო კინოფესტივალად, რომელშიც მონაწილეობის დიდ სურვილს გამოთქვამენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ზვიად ელიზიანის თქმით, ბოლო 3 წლის განმავლობაში სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან დაფინანსების შეწყვეტის მიუხედავად, ყველაფერს აკეთებენ, რომ გააგრძელონ საქმიანობა და კინომოყვარულებს საინტერესო კინოკვირეული შესთავაზონ.

„ბიაფის“ წლევანდელ პროგრამაში ფილმები რამდენიმე სექციაში იყო წარმოდგენილი, მათ შორისაა საერთაშორისო მხატვრული და მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსები, მასტერკოლექცია, ქართული პანორამა, ქართული კინოკლასიკა და სხვა.

- მიუხედავად არსებული პრობლემებისა, მხარდამჭერების დახმარებით შევძელით, რომ ფესტივალი კვლავ დარჩენილიყო სექტემბრის ბათუმის განუყოფელ ნაწილად. „ბიაფის“ პროგრამა, ვფიქრობ, საინტერესო იყო მაყურებლისთვის. შევეცადეთ, ფესტივალის სხვადასხვა სექციაში მაქსიმალურად მრავალფეროვანი პროგრამა წარმოგვედგინა. წელს ქართულ პანორამაში როგორც მხატვრული, ასევე მოკლემეტრაჟიანი 14 ახალი ფილმი ნახა მაყურებელმა, მათ შორის რამდენიმე - ბათუმელის. ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იყო მიხეილ გაბაიძის, ნიკოლოზ ვერძაძის, ამირან ორაგველიძის ფილმები, ასევე, აჭარის ტელევიზიიდან ბერდია კუტუბაძის საინტერესო დოკუმენტური ფილმი კირილე ზდანევიჩზე. წელს გვაქვს მცირე სექცია - კინოკლასიკა, რომელიც ეძღვნება ფარაჯანოვისა და თენგიზ აბულაძის დაბადების 100 და ოთარ იოსელიანის დაბადების 90 წლისთავს. წელს ადგილის შეცვლა მოგვიწია, რადგან კინოთეატრი „აპოლო“ რემონტშია. „ბიაფის“ ძირითადი პროგრამის ჩვენება მიმდინარეობდა კინოთეატრ „კავეაში“, „გრანდ მოლში“, კინოსეანსების ჩვენება „ევროპის მოედანზეც“ იმართებოდა. რაც შეეხება დაფინანსებასთან დაკავშირებულ პრობლემას, სამწუხაროა, რომ ეს, ძირითადად, აჭარის რეგიონიდანაა წამოსული, რომელიც, დიდი ალბათობით, რიგ საკითხებზე ჩემს განსხვავებულ შეხედულებებს უკავშირდება, - აღნიშნა „ბიაფის“ მენეჯერმა ზვიად ელიზიანმა.

ბათუმის კინოფესტივალზე საკუთარი შთაბეჭდილება გაგვიზიარა რეჟისორმა მიხეილ გაბაიძემ, რომელიც ფილმით „ვაზომოტორული რინიტი“ წელს პირველად მონაწილეობდა „ბიაფში“:

- განსაკუთრებული შეგრძნებაა, როცა მონაწილეობ კინოფესტივალში, რომელიც ჩვენთან ერთად გაიზარდა. „ბიაფზე“ ჩემი რეჟისორობით გადაღებული ფილმის ჩვენება ჩემთვის ბედნიერებაცაა და სიამაყეც. „ბიაფი“ არის ყველაფერი ჩვენი ქალაქისთვის, კინოსთვის, ქვეყნისთვის, ქართული რეალობისთვის. იგი ძალიან უხდება ზღვისპირა ქალაქს, სულ უნდა იარსებოს და ყველა, რითიც შეგვიძლია, გვერდით უნდა დავუდგეთ, - აღნიშნა მიხეილ გაბაიძემ.

წელს კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი გელა ბაბლუანი იყო, რომელმაც გაზეთ „აჭარასთან“ აღნიშნა, რომ ყოველთვის დგას კინოს მხარეს და სურს, საქართველოში უფრო დიდი ყურადღება მიექცეს ქართულ კინოწარმოებას.

- პირველად დაახლოებით 8 წლის წინ ვიყავი „ბიაფზე“ და მას შემდეგ თითქმის რეგულარულად ჩამოვდივარ. ყოველთვის ვდგავარ და ვიდგები კინოს გვერდით. იქნებ, უკეთ გავიაზროთ, რა არის ქართული კინოსთვის უმჯობესი, მეტი ყურადღება მივაქციოთ მას, ვიდრე ერთმანეთის ჯიჯგნას, - აღნიშნა გელა ბაბლუანმა.

„ბიაფში“ გამარჯვებულების შესახებ დღეს ჩვენი გაზეთის ვებგვერდიდან შეიტყობთ.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტების საყურადღებოდ!

ფასიანი წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთი «აჭარა» ყოველ ნომერში გამოყოფს სამ შავ-თეთრ გვერდს, რომელთა საერთო ფართი შეადგენს 2700 კვ სანტიმეტრს, აგრეთვე ბოლო - ფერად გვერდს, რომლის ფართიც 900 კვ სანტიმეტრია.

ფასი: შავ-თეთრ გვერდზე (1 კვ სანტიმეტრი) - 30 თეთრი; ფერად გვერდზე (1 კვ სანტიმეტრი) - 50 თეთრი.

გახსენება

მიხეილ მახარაძე



მიშა, ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, მაგრამ იმდენად ცხოველმყოფელია ჩვენი ბოლო შეხვედრების ეპიზოდები და სრულიად მოულოდნელი - საბედისწერო დასასრულის მოგონებები, რომ თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი. დრო კი ულმობლად მიდის...

ძალიან გვაკლიხარ ყველას, ძალიან დააკლდა შენი წონადი სიტყვა ჩვენს საზოგადოებას, შენი მახვილი კალამი - ქართულ მეცნიერებასა და კულტურას, პუბლიცისტიკას, ჯანსაღი კრიტიკის სფეროს. შენ ამაღლებული იყავი ყოველგვარ პარტიულობასა თუ ფრაქციულობაზე და, ჩვეულებრივად, შინაგანი დისკომფორტის გარეშე თანამშრომლობდი სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის, შეხედულებისა თუ მსოფლმხედველობის ადამიანებთან ისე, რომ არასოდეს გიღალატია პრინციპებისთვის, არასოდეს წასულხარ კომპრომისზე საკუთარ სინდისთან. მთელი შენი მრავალმხრივი მოღვაწეობა იყო ნიმუში სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურისა.

სამაგალითო იყავი მეგობრებთან ურთიერთობაშიც. თანადგომა, სიკეთის ქმნა, უანგარობა, სიმართლე, სითბო და სიყვარული იყო შენი ცხოვრების კრედო. ადვილად შეგეძლო ლაღი, ხალისიანი, ამაღლებული განწყობილების შექმნა. შენს მერე ერთგვარად მოიშალა შინაგანი ხიდი ჩვენი სამეგობროს სხვა წევრებს შორისაც და, ფაქტობრივად, შეწყდა ადრინდელი ტრადიციული შეხვედრა-საუბრები ჩვენეულ, მსუბუქ მაგიდასთან, აზრთა გაცვლა-გამოცვლა საჭირბოროტო საკითხებზე, პირადულ თუ საქმიან პრობლემებზე.

მიშა, ჩვენო საამაყო მეგობარო, შენ ნამდვილი ინტელექტუალი იყავი, რაზეც მეტყველებს შენი 34 წიგნი, 120 სამეცნიერო ნაშრომი, 500-ზე მეტი პუბლიცისტური წერილი, თარგმანები, რეცენზიები, რედაქტორის შენეული წინასიტყვაობები... და ყველაფერ ამას აკეთებდი აქტიური საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და პედაგოგიური საქმიანობის პირობებში.

სხვა ჯილდოებთან ერთად, მიღებული გქონდა უმაღლესი ეროვნული პრემიები მეცნიერების დარგში. იყავი აღიარებული ავტორიტეტი შემოქმედებით წრეებში (ნაშრომთა სამრავლე ყოველთვის როდი განსაზღვრავს ამას). სამეცნიერო საზოგადოებამ კარგად იცოდა შენი პიროვნების წონა და ფასი. სანიმუშოდ გავიხსენებ ორ დამახასიათებელ მაგალითს:

2018 წლის 31 აგვისტოს, როდესაც დიდი ქართველი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ თევზაძე გარდაიცვალა, მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა აკადემიის სახელით შესაბამისი ნეკროლოგის დაწერა სთხოვა არა იქვე, თბილისში მყოფ რომელიმე ფილოსოფოსს, არამედ ბათუმში მოღვაწე პროფესორ მიხეილ მახარაძეს, რომელმაც შესანიშნავად გააკეთა ეს საქმე და, გამოჩენილი მეცნიერის შემოქმედების ლაკონური ანალიზის საფუძველზე, კარგად წარმოაჩინა მისი დამსახურება ფილოსოფიურ მეცნიერებაში.

2023 წლის 9 ოქტომბერს, პროფესორ მიხეილ მახარაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნეკროლოგი და აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის სამძიმრის წერილი გარდაცვლილის ოჯახისადმი. მათში მოცემულია ბატონი მახეილის პიროვნების, მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მაღალი, შთამბეჭდავი შეფასება.

საქართველოში სხვადასხვა დარგის ბევრი დამსახურებული პროფესორი გარდაცვლილა, მაგრამ მეცნიერებათა აკადემია და მისი პრეზიდენტი მხოლოდ ერთეულებს, ძალიან გამოჩენილებს თუ მიაგებს ასეთ პატივს. მიხეილ მახარაძე იყო სწორედ ასეთი გამორჩეული პროფესორი და ყველაფრიდან ჩანს, რომ სულ მალე დაამშვენებდა კიდეც აკადემიას თავისი სამეცნიერო-შემოქმედებითი და პიროვნული თვისებებით, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა ფორმალურად შეუძლებელი გახადა ეს. თუმცა ამით მიხეილის სახელსა და ავტორიტეტს არაფერი დაჰკლებია.

მიშა, როგორც ითქვა, მრავალმხრივ ნაყოფიერი შემოქმედი იყავი და მდიდარი მემკვიდრეობაც დაგვიტოვე, მაგრამ კიდევ ბევრი ჩანაფიქრი დაგრჩა განუხორციელებელი. სულ ახლახან შენი მოწაფეების - ვარდო ბერიძისა და აბესალომ ასლანიძის მეცადინეობით და ქალბატონ ეთერ ბერიძის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა ხელნაწერების სახით დატოვებული შენი „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აკადემიკოს შალვა ნუცუბიძისა და აკადემიკოს შალვა ხიდაშელის შემდეგ, ახალი რეალიების გათვალისწინებით, თუკი ვინმეს უნდა დაეწერა ასეთი სახელმძღვანელო, ეს უნდა გაეკეთებინა პროფესორ მიხეილ მახარაძეს, რომელიც ნუცუბიძისა და ხიდაშელის ტრადიციების გამგრძელებლად ითვლება.

ნაშრომი დაწერილია დიდი ერუდიციით. მასში ავტორისეული სიღრმით, სიცხადითა და მწყობრი სისტემის სახით დალაგებულია ქართული ფილოსოფიის ისტორიის საკვანძო საკითხები. ამასთანავე, არაერთი საკითხი განხილულია ახალი კუთხით, ბევრი ფილოსოფოსის შემოქმედება წარმოჩენილია სხვა რაკურსით.

წიგნი ორიგინალური სახელმძღვანელოა სტუდენტებისათვის. იგი საყურადღებო იქნება დარგის სპეციალისტებისა და საკითხით დაინტერესებული სხვა მკითხველებისთვისაც (აქვე განვმარტავთ, რომ ყველა სიკეთის მიუხედავად, წიგნი ვერ დაიბეჭდა უნივერსიტეტის გამომცემლობაში, ვინაიდან ეს არ ესწრებოდა ავტორის გარდაცვალების წლისთავისათვის, თორემ ასეთი საჭირო სახელმძღვანელოს გამოცემა, მეტადრე, ცნობილი ავტორისა (და ისიც, პირველად ამ დისციპლინაში), უნივერსიტეტსაც დაამშვენებდა და მის გამომცემლობასაც).

ჩემო მიშა, ბევრი მაქვს გასახსენებელი, ბევრიც მითქვამს და დამიწერია სხვადასხვა დროს. ჩვენ ხომ სტუდენტობიდან მოყოლებული ურთიერთობა და მეგობრობა გვაკავშირებდა. ამ წერილსაც ვწერ გასაგები ემოციური დატვირთვით და კიდევ ერთხელ, საქმის უშუალო ცოდნით და ყველაფრის გათვალისწინებით, ვაცხადებ: პროფესორი მიხეილ მახარაძე იყო არა მარტო გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, არამედ შესანიშნავი პიროვნება, სამშობლოს დიდი პატრიოტი, გულანთებული მამულიშვილი, ყოველგვარ პროვინციულზე ამაღლებული და ზოგადქართულის ფხიზელი გუშაგი. ამიტომაც მრავალმხრივ მძიმედ დააკლდა მის სათაყვანებელ საქართველოს, თუმცა ყოველმხრივ ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან. დიახ, კიდეც მრავალმხრივ დაკლდა იგი სამშობლოს და კიდეც ყოველმხრივ ვალმოხდილი წავიდა, რაც, ამ გადასახედიდანაც, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

მეგობართა სახელით,
ნოდარ ბარამიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძვეები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „აჭარის“ კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 3/10/24, 18 ²⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

თოჯინების თეატრალური ფესტივალი დასრულდა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმის თოჯინების მეორე საერთაშორისო ფესტივალის დასკვნით ღონისძიებაზე გამარჯვებულები დააჯილდოვეს, რომლებიც 7 სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლინდნენ. გამარჯვებული დასები 5-წევრიანმა ჟიურიმ შეარჩია. ფესტივალში 6 ქვეყნის თეატრალური დასი მონაწილეობდა, ჩვენებები 5 დღის განმავლობაში იმართებოდა. ფესტივალის ფარგლებში 14 სპექტაკლი დაიდგა, აქედან 4 - არასაკონკურსო. საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, სპექტაკლების ჩვენების პარალელურად, მასტერკლასები და ქუჩის წარმოდგენები იმართებოდა

ფესტივალის გრან პრი გადაეცა სპექტაკლს „ნილი“, რომლის რეჟისორი რაიმონ რუიზი (ესპანეთი) გახლავთ. ნომინაციაში „საუკეთესო რეჟისურა“ დინა ჟუმაბაევამ (ყაზახეთი, ალმათის თოჯინების სახელმწიფო თეატრი) გაიმარჯვა სპექტაკლით „მაკბეტი, „ილუზია“. პრიზი „საუკეთესო სცენოგრაფია“ ვახტანგ ქორიძესა და დიმიტრი ხვთისიაშვილს გადაეცათ სპექტაკლისთვის - „გუდული ბაბუ და პატარა უჩა“. ნომინაციაში „საუკეთესო მუსიკალური გაფორმება“ ქრის მიგელმა და დანილო ტომიკმა (ბრაზილია) გაიმარჯვეს სპექტაკლით „ჩვენ შეგვიძლია ფრთების გარეშე ფრენა“. „საუკეთესო მსახიობი ქალის“ ჯილდო თამარ ჭანუყვაძეს გადაეცა თოჯინა „დეზდემონას“ როლის შესრულებისთვის, სპექტაკლში „ოტელო“ (რეჟისორები: გია მარღანია და დიმიტრი ხვთისიაშვილი), „საუკეთესო მსახიობი მამაკაცი“ კი ვანო დუგლაძე გახდა თოჯინა „იაგოს“ როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „ოტელო“. ქართული კრიტიკის სპეციალური პრიზი გადაეცა ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრს სპექტაკლისთვის „ცისფერი კოცონი“ (კრიტიკის კოლეგია: მანანა ხელაია, მარინა ხარატიშვილი, ალექსანდრა სულამანიძე, ანასტასია ჩერნიცოვა, თამთა ქაჯაია, ნერონ აბულაძე, გოგი ყაჯრიშვილი (კოლეგიის ხელმძღვანელი).

საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელმა, ბათუმის საერთაშორისო თოჯინების თეატრალური ფესტივალის ერთ-ერთმა სამხატვრო ხელმძღვანელმა ნიკოლოზ საბაშვილმა პრიზი გადასცა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრს. „ჟიურის წევრების გადაწყვეტილებით, საფესტივალო ნომინაციების გარდა, დამატებით ორი დიპლომი გაიცა. ჟიურის სპეციალური პრიზი გადაეცა სპექტაკლს „ცისფერი კოცონი“ (რეჟისორი - ეკატერინე სირაძე, ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი). „ჟიურის განსაკუთრებული აღნიშვნა“ გადაეცა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრს - თოჯინური თეატრების მხარდაჭერისთვის საქართველოსა და მსოფლიოში. ტრადიციულად, ფესტივალზე გაიცა სამხატვრო ხელმძღვანელის სპეციალური პრიზები. პრიზი „ოსტატი“ გადაეცათ რეჟისორ ეკატერინე სირაძეს, მხატვარ ვახტანგ ქორიძეს, მსახიობებს ვანო მაღლაკელიძესა და თეა კიწმარიშვილს.

ბათუმის ქუჩებში განსაკუთრებული მუხტის, ზეიმის შექმნისთვის, ქვეყნის მასშტაბით გამოწვეული რეზონანსის გათვალისწინებით, პროფესიონალიზმის გაზიარებისა და ინოვაციის შემოტანისთვის ფესტივალის პრიზი გადაეცა საფრანგეთის დელეგაციას - „Demain on change tout“ (სარა იზაბელ ლეტუზე, ფლოღონ ბენუა მატონ, ჰოელ ევან უღიენ, ფაბრის ფილიპ როჟერ ტანგი, ვილი ფღანკ მათიუ, მარიუშ შიმონ მაღსელ ფუღკადი, ჯერემი სილვა პაგლიაღანი, ემანუელ ჟილბეღ დომინიკ-ბილეღი, პიეღ მაღი ჟეღომ ოქტავ შომიე, გიუმ ჟან-ლუი აღბონვილი).

- ფესტივალმა წარმატებით ჩაიარა. წარმოდგენილი იყო 6 ქვეყანა. სულ 180 ვიზიტიორი გვყავდა. წარმოდგენები იმართებოდა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრში, ასევე, ქუჩებსა და მოედნებზე. შეიძლება ითქვას, ძალიან ბევრი ვიხმაურეთ, ლამის მთელმა ბათუმმა და საქართველომ გაიგო ჩვენი ფესტივალის შესახებ. გვყავდა ძალიან სამართლიანი ჟიური, რომელმაც, ვფიქრობ, ძალიან სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ბედნიერი იყო ყველა მონაწილე, ისმოდა ფრაზები: „არ დამთავრდეს ფესტივალი“, „უფრო მეტხანს გაგრძელდეს“... მინდა აღვნიშნო, რომ ფრანგებს ძალიან მოეწონათ ჩვენი ქვეყანა, ისიც გვითხრეს - სიამოვნებით ვიცხოვრებდით თქვენს ქალაქშიო, რამაც ძალიან გაგვახარა. გარდა მონაწილეებისა, გვყავდა სტუმრები - კრიტიკოსები, თეატრმცოდნეები და ჟურნალისტები, რომლებმაც დადებითად შეგვაფასეს და ძალიან კმაყოფილი ვარ. ცხადია, ველოდი ამ სიხარულს, მაგრამ ყოველივემ მოლოდინს გადააჭარბა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზატორებს, თითოეულ წევრს, რომლებმაც მთელი სული და გული ჩადეს, ფესტივალი არაჩვეულებრივი რომ ყოფილიყო. მადლობა ჩვენს მხარდამჭერებს - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროებს. მადლობა პარტნიორებს, რომლებიც ამ ფესტივალის ჩამოყალიბებაში დაგვეხმარნენ, - გვითხრა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ფესტივალის ორგანიზატორმა ირაკლი კიკვაძემ.

მარეთის ხეობის ფოლკლორმა თბილისელები მოხიბლა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ლიანა ფუტკარაძე თბილისის 133-ე საჯარო სკოლის დირექტორია. იგი მარეთის ხეობაში დაიბადა, შემდგომ მისი ოჯახი გურიაში გადავიდა საცხოვრებლად. ტომაშეთელთა რძალი კარგად იცნობს მარეთელებს, აქაურების ადათ-წესებს, მათ ფოლკლორს

არ იყო გასაკვირი, როცა თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ „ერთი ხეობის ფოლკლორის საღამოზე“ სკოლის პედაგოგებთან ერთად მოვიდა. საღამო კონსერვატორიის მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის დირექტორ ნინო რაზმაძის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა.

- სასიხარულო და საამაყოა, როცა ქვეყნის დედაქალაქში შენი სათაყვანებელი და საფიცარი ხეობის კულტურისა და ხელოვნების მოამაგენი საზოგადოებას თავიანთ ხელოვნებას აცნობენ, - გვითხრა ქალბატონმა ლიანამ.

საღამოზე მოვიდნენ თბილისში მცხოვრები ოლადაურელი პროფესორი ჯემალ ბერიძე, ვეტერანი შოთა მაკარაძე, დღვანელი პროფესორი ედიშერ ფუტკარაძე, მარეთის ხეობიდან დედაქალაქსა და მის შემოგარენში მცხოვრები მარეთელთა ფოლკლორის 100-ზე მეტი თაყვანისმცემელი.

ნინო რაზმაძემ მარეთელთა გამოსვლა მე-12 საერთაშორისო სიმპოზიუმს დაამთხვია, რომელიც მრავალხმიანობისადმი იყო მიძღვნილი და 20 ქვეყნიდან მოწვეული 50-მდე მეცნიერი და ის უცხოური ანსამბლები ესწრებოდნენ, რომლებიც ქართულ სიმღერებს ასრულებენ.

დათქმულ დროზე დარბაზი მაყურებლებით გადაიჭედა, რაც, ორგანიზატორთა შეფასებით, იშვიათობაა.

- წლებია, მეცნიერულ სარბიელზე ვარ, მაგრამ მარეთელთა ცეკვა-სიმღერას, ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და ეთნოგრაფიას კარგად ვიცნობ. იყო დრო, როცა სცენაზე ვიდექი და ადგილობრივი ხელოვნების ხელდასმით ვმღეროდი, „განდაგანას“ ჩამოვუვლიდი, - თქვა ედიშერ ფუტკარაძემ.

საღამოს მონაწილეებს მიესალმნენ ნინო რაზმაძე, ფოლკლორის ეროვნული ცენტრის დირექტორი, ანსამბლ „ბასიანის“ სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი დონაძე, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი რუსუდან ნაფეტვარიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე. მათ ისაუბრეს სოფლის, ხეობის ფოლკლორის დანიშნულებასა და პოპულარიზაციაზე.

შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „მარეთი“ (ხელმძღვანელი - ავთანდილ დარჩიძე), ქორეოგრაფ ბადრი დარჩიძის ინიციატივით ახლახან შექმნილი ქალთა ანსამბლი „ფესვები“, კვიახიძეებელი მიხეილ ფუტკარაძისა და მახალაკიძეებელი ავთანდილ დარჩიძის საოჯახო ანსამბლები, 80 წელს გადაცილებული აკომპანიატორი როლანდ ივანაძე, მხატვრული კითხვის ოსტატი რევაზ ფევაძე მაყურებელმა ოვაციით მიიღო.

უდავოდ მისასალმებელი იყო ბადრი დარჩიძის მიერ ხეობაში გაბნეული ქალთა ეროვნული ცეკვის მარგალიტების შეგროვება-გაცოცხლება, დიდი და მომთხოვნი აუდიტორიის წინაშე პირველად წარდგენა. ანსამბლში ბადრიმ ოჯახის წევრებიც ჩართო. თავის დროზე ამ ნიმუშებს დედამისი და ხეობის სხვა ქალები ასრულებდნენ. 15 წლის წინ ბადრისა და შუახევის კულტურის ცენტრის მაშინდელ ხელმძღვანელ ზაურ დავითაძეს სურვილი ჰქონდათ, ეს მარგალიტები გაეცოცხლებინათ და სცენაზე გამოეტანათ, მაგრამ... ამჯერად ხელოვანს თვითმმართველობის ხელმძღვანელები გვერდით დაუდგნენ და უცხოელმა და ქართველმა მაყურებელმა ქალთა ანსამბლ „ფესვების“ მიერ შესრულებული რამდენიმე ნომერი ხანგრძლივი ტაშით შეაფასა, ასევე, ბადრი დარჩიძის მიერ შესრულებული საცეკვაო ნომერი.

ავთანდილ დარჩიძემ „მარეთის“ რეპერტუარი გადაახალისა და ისე წარადგინა დედაქალაქში. 85 წელს მიტანებული მიხეილ ფუტკარაძის ცეკვა-სიმღერა კარგა ხანს ემახსოვრებათ, ვინც იმ დღეს დარბაზში იყო.

- გოგინაურში, ხელოვანების ოჯახში ვარ დაბადებული, - გვითხრა „ფესვების“ წევრმა ნანული გოგიტიძემ, - კარგად მახსოვს ის „შუამთობები“, მთა საბერწიასა და ღომაზე რომ იმართებოდა. გოგინაურელი და წაბლანელი ქალები „განდაგანას“ ინდივიდუალურად, კოვზების კაკუნით ასრულებდნენ. ბატონმა ბადრიმ და მე მივიწყებული ვარიანტი აღვადგინეთ. კარგი გამოვიდა. იმედია, ამიერიდან იგი სხვა ანსამბლების რეპერტუარშიც დაიჭერს ადგილს.

„ერთი ხეობის ფოლკლორის“ საღამომ საათ-ნახევარს გასტანა. დასკვნითი ნომრის შესრულების შემდეგ მარეთელებს მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგა.

- საქართველოში რამდენი ხეობა და სოფელია, იმდენი ფოლკლორია დავანებული, ყველას თავისებური ხიბლი და პეწი აქვს. დიდი სიხარული მოგვანიჭეს მარეთელებმა, მადლობა მათ და ღონისძიების ორგანიზატორებს. ეს დარბაზი მეორედ მასპინძლობს შუახევურ ფოლკლორს. რამდენიმე წლის წინ ამ სცენაზე ფოლკლორული ხელოვნების ნიმუშები ჭვანელებმა ჩამოიტანეს და წარმატებულადაც. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ნინო რაზმაძეს. იგი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაინტერესდა ჩვენში შემონახული ფოლკლორის ნიმუშებით და ერთხელ წამოწყებულ საქმეს წარმატებით აგრძელებს. იმედია, მომავალშიც მოხიბლავენ ჩვენი მომღერალ-მოცეკვავეები ამ სცენაზე მაყურებელს, - თქვა ომარ ტაკიძემ.

ფოლკლორული საღამოს მონაწილე უცხოური ანსამბლების მიერ შესრულებული „მრავალჟამიერიც“ კარგად შეეხამა მარეთელთა გამოსვლას.

- მე იმერხეველი ქართველი ვარ. ემოციური და ნოსტალგიური იყო დღევანდელი საღამო. ბავშვობა დამიდგა თვალწინ. აქ შესრულებული სიმღერები და ცეკვები ნაცნობია. მადლობა მარეთელებს, მადლობა საღამოს ორგანიზატორებს, - გვითხრა ოსმან თურანმა.

საღამოს დასრულების შემდეგ კომენტარი ნინო რაზმაძეს ვთხოვეთ.

- მისასალმებელია, რომ საღამომ ანშლაგით ჩაიარა. ყველას ვალია, თაობებს შემოვუნახოთ და შევუნარჩუნოთ ის საუნჯე, რაც სოფლებსა და ხეობებშია. მადლობა ფოლკლორის ეროვნული ცენტრის, ფონდ „გალობის“, კონსერვატორიის, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, საღამოს მონაწილე მომღერალ-მოცეკვავეებს. საქმე გრძელდება, მერისის, ჭვანის, მარეთის ხეობების ფოლკლორის შემდეგ სხვა ხეობებსაც ვიხილავთ ამ დარბაზის სცენაზე, - გვითხრა ნინო რაზმაძემ.